# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4 (9.618)

15-22 თებერვალი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# სასოფლო - სამეურნეო ვაუჩერების დარიგება დაიწყო



გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო დახმარების მიზნით, სახელმწიფოს მიერ წამოწყებული კამპანია წელს კვლავ გრძელდება. ვაუჩერი, რომელმაც გასულ 2013 წელს უამრავ ოჯახს ხელი მოუმართა და წლების მანძილზე თითქმის მიტოვებული საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების საშუალება მისცა, სოფლის მოსახლეობა ეკონომიური კრიზისიდან გამოიყვანა. მართალია, დარგის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ვაუჩერებით ხელის წახმარება ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობას ვერ ააღორძინებს, მაგრამ იმ ოჯახებისთვის, ვინც უსახსრობის გამო მიწის დამუშავება დაივიწყა, ნამდვილად მშვენიერი საჩუქარია. ყველამ კარგად ვუწყით, რომ ამ ბარათით უთვალავმა გლეხმა იხეირა, ნაჩუქარი ვაუჩერით წლების მანძილზე მოსავალმიუღებელმა ხალხმა მიწა მოხნა, დათესა და ერთი ორად, თუ სამად მიიღო სარგებელი. ზოგმა ქერი შეიტანა ოჯახში, ზოგი მალაზიის ზეთის ყიდვისგან გათავისუფლდა და მზესუმზირის და ზეთის ბარაქა მოიკიდა, ბევრმაც სიმინდის კარგი მოსავალი დაიყენა, ცოტა გაყიდა, ცოტათი კი, საქონელი გამოკვება. მოკლედ, ხალხში ეგრეთწოდებულმა „ივანიშვილის ვაუჩერმა“ ყველა კარგად ახეირა.

მათ კი, ვინც ამ ვაუჩერების დარიგებას სკეპტიკურად უყურებს, მინდა შევახსენო, თუ რა გარემოებამ აალებინა დედოფლისწყაროელ გლეხ კაცს მიწაზე ხელი, -ერთ წელს გვალვებისა და მიწის გამოფიტვის გამო ნაკლები მოსავალი მიიღო, ცუდმა მოსავალმა გასაქანი არ მისცა, მეორე წელსაც დაემუშავებინა მიწა და იძულებული გახადა ხალხი, სახლიდან გატანილი ჯართით, ან გაყიდული საქონლის ფულით დაემუშავებინა მიწა, იმ წელს სულ უხარისხო ხორბალი მიიღო ყველამ, რაზეც გასაყიდმა ფასმა იკლო, მესამე წელს კვლავ გაიწია გლეხის ჭაპანმა და ამჯერად ნასესხები ფულით დათესეს, მაგრამ გამოფიტულმა, უსასუქოდ დარჩენილმა მიწამ კვლავ დაალალატა გლეხის მარჯვენა. ამას ისიც დაემატა, რომ ახალი ბერკეტი მოიგონეს გლეხის ზურგში ჩასარტყმელად. ეკონომიკის სამინისტრომ მიწების გაფორმების გაჯანჯლება და მიწის ღირებულების ათმაგი ოდენობით შესყიდვაც შემოიღო, შემდეგში კი, მიწის გადასახადი გაორმაგდა და გასამმაგდა. მოკლედ, ყველა პირობა შეიქმნა იმისთვის, რომ ქართველ მიწათმოქმედ კაცს ყველაზე ძვირფას საქმეზე ხელი ჩაექნია. ამ დროს ყველა და ყველაფერი დუმდა, ვერავის აეხსნა, რატომ მოექცა ასე უმოწყალოდ სახელმწიფო სტრუქტურა გლეხს, თუმცა, მათზე კარგად ხომ ზემდგომებმა იცოდნენ შემდეგი აქსიომა, - „თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდესო!“

მართალია, მაშინ ვერაფერი გაეგო ხალხს, მაგრამ, სამაგიეროდ თავად იცოდნენ კარგად, რატომ მიიყვანეს კახელები აქამდე. შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა ყველაფერი ცხადყო და ხალხმაც კარგად გაათვითცნობიერა, რას თამაშობდა მთელი მასინდელი „ერისკაცობა“, როცა ცოტა ხანში კახელი გლეხის მიერ მიტოვებულ მიწებს არაბები და ირანელები, აფრიკელი ბურები და ინდოელები დაეპატრონნენ და უფრო მეტიც, ქართველი ხალხი იძულებული გახადეს, იხვეწებოდნენ, რომ მათი მიწა ეყიდათ უცხოელებს, რათა თავი შიმშილისგან გადაერჩინა. ეს სრული ტრაგედია იყო. ისეთი ტრაგედია, რასაც დღემდე ვიმკით, -დედოფლისწყაროს მაცხოვრებლების 90 % სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილ, ვინ იცის, რა პესტიციდებით ნასაზრდოებ ხორბლის ფქვილს მაღაზიებში ცეცხლის ფასად ყიდულობს. აი, რა დამკვიდრდა და სადამდე მივედით. ეს ხომ ტრაგედიაა, როცა პურის ბეღლად წოდებული მხრის ადამიანები, არათუ წისქვილის ნალდ პურს მივირთმევთ, არამედ ნაყიდი ფქვილისგან გამომცხვარი პურით ვიკვებებით, ამაზე მეტად შესაბრალისი ქართველი კაცი, ალბათ, წარმოუდგენელია.

მართალია, ჩვენდა საბედნიეროდ, ახალმა მთავრობამ მიწის უცხოელებზე გაყიდვა კანონით აკრძალა და ამ უმსგავსობას ბოლო მოეღო, მიწა უცხოელებზე აღარ გაიყიდება, მაგრამ იმ ორმოდან ამოსვლას ხომ წლები სჭირდება, რომელ ორმოშიც ჩვენი მიწათმოქმედი ხალხი ჩავარდა?!

იმედდაკარგულ დედოფლისწყაროელებს სწორედ ეს ვაუჩერი წამოეშველა, გაამხნევა, გაახალისა და ინტერესი გაუჩინა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება დღევანდელზე, მომავალი წელი ბევრად უხვმოსავლიანი იქნება, ვიდრე წლევანდელი იყო....

და აგერ, ამ დღეებში კვლავ დაიწყო ვაუჩერების დარიგება, ყველა ადამიანს, ვისაც 0,25 ან 1.25 ჰექტარი მიწა ერიცხება, საგაზაფხულო სამუშაოებისთვის მოხვნის ვაუჩერი ეძლევა. მოქალაქეებმა, ვისაც ზემოხსენებული ოდენობის მიწის ფართი გააჩნია, უნდა მივიდეს თავის ტერიტორიულ უბანზე, საკრებულოს შენობებში სამუშაო საათების ნებისმიერ დროს, სადაც მას პირადობის მოწმობის საფუძველზე გადასცემენ სასოფლო სამეურნეო ბარათს.

ამ მხრივ ხალხმრავლობაა ქალაქ დედოფლისწყაროს საკრებულოშიც, სადაც დილიდან მიწის ვაუჩერის მისაღებად უამრავი ადამიანი იყრის თავს. მოქალაქე თენგიზ ტოკლიკიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ გასულ წელს 0,75 ჰექტარზე დათესილი ქონდა სიმინდი, მიღებულმა მოსავალმა კი, სამ ტონას გადააჭარბა,იგი, რა თქმა უნდა, დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა აღნიშნული აქციის გამო და წელსაც დიდი ინტერესით ელოდება ხვნათესვის სამუშაოების ჩატარებას.

-„ წელს ათას ექვსას სამოცდაცამეტი სასოფლო სამეურნეო ბარათი მივიღეთ, რომლის საშუალებითაც ბარათის მფლობელები მიწას უსასყიდლოდ მოხნავენ,ასევე, ყოველი ბარათის მფლობელი მიიღებს 50 ლარიან აგრობარათს ლიბერთი ბანკის საშუალებით, ბარათით მოსარგებლეს შეუძლია იყიდოს მხოლოდ ნაკვეთში შესატანი სასუქი, შხამ-ქიმიკატები და სხვადასხვა პრეპარატები.“- ამბობს ჩვენთან საუბარში ქალაქ დედოფლისწყაროს რწმუნებული ბესიკ ცისკარაული.

-„ორი დღეა, რაც სასოფლო სამეურნეო ბარათები მივიღეთ და ჩვეულ რეჟიმში გავცემთ, რის გამოც, მოსახლეობის ნაკადი ჩვენს სამსახურში არ წყდება, ხალხი კმაყოფილია და სიხარულს გამოხატავს, რომ ბარათები კვლავ მიიღეს, იმედია, ყველა გამოიყენებს ამ შანსს და მოსავლიანი წელს დაიყენებენ, “-აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალაქის საკრებულოს სპეციალისტმა თეა ჯინაშვილმა.

წარმატებას და ხვავიან მოსავალს გისურვებთ, მეურნეებო.

ლალი მეხრიშვილი

## „ჩვენ ვამაყობთ აზერბაიჯანის ქართველობით“



გვ. 2

## „ვალენტინობა“ დედოფლისწყაროში




გვ. 5

## „112“ თქვენს სამსახურში

გვ. 3

## „სიზმრად ვნახე საქართველო“...



გვ. 4

# გიორგი მარგველაშვილი – ჩვენ ვამაყობთ აზერბაიჯანის ქართველობით

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საინგილოში, კახის რაიონში იმყოფებოდა. პრეზიდენტი კახში ქართულ დიასპორას შეხვდა.

კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გიორგი მარგველაშვილს მართლმადიდებელმა ქართველებმა დახვედრა მოუწყეს. პრეზიდენტმა ტაძარს წმინდა გიორგის ხატი გადასცა.

„შეხვედრა ძალზე ემოციური იყო. როდესაც ჩადიხარ და ნახულობ შენს ხალხს, შენს კულტურას, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ორი მეგობარი ქვეყნის განვითარებაში, გული სიამაყით გევსება. გიხარია, რომ ისინი ასე ამდიდრებენ სხვა ქვეყნის კულტურასაც. ეს ადამიანები აზერბაიჯანის ღირსეული მოქალაქეები არიან და ამ ქვეყნას აძლიერებენ. ჩვენი შეხვედრისას, პრეზიდენტმა ალიევმა აღნიშნა, რომ სწორედ ამ ხალხით ძლიერდება აზერბაიჯანი. ჩვენ ვამაყობთ აზერბაიჯანის ქართველობით, ზუსტად ისევე, როგორც ვამაყობთ ჩვენი ქვეყნის აზერბაიჯანელი მოქალაქეებით“, - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

დიასპორასთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანული მხარის მიერ ახლადგარემონტებულ ქართულ სკოლასაც ესტუმრა, რომელსაც საქართველოს განათლების სამინისტრომ ცოტა ხნის წინათ ქართულენოვანი სახელმძღვანელოები გადასცა.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქვეყნის პირველმა პირმა აქ მცხოვრები ეთნიკური ქართველები მოინახულა.

ჰერეთში, ზაქათალას რაიონის სოფელ ალიაბადში მცხოვრებ ინგილოებს 1996 წლიდან უფლება არ აქვთ ბავშვს ქართული სახელი დაარქვან, მითუმეტეს, თუ მათ აზერბაიჯანული გვარი აქვთ. მშობელმა ბავშვის სახელი მხოლოდ აზერბაიჯანის საჯარო რეესტრის



მიერ შედგენილი სპეციალური სიიდან უნდა შეარჩიოს. არის შემთხვევები, რომ საბუთების მოუწესრიგებლობის გამო ბავშვები სკოლაში ვერ დადიან, რადგან მშობელს უნდა შვილს ქართული სახელი დაარქვას, ხელისუფლება კი ამის უფლებას არ აძლევს.

გასულ წლებში, ჰერეთში მცხოვრებ ქართველებს აზერბაიჯანელ სამართალდამცავებთან პრობლემები ქართული სიმღერების მოსმენის და ქართული დროშის გამოჩენის გამოც შეექმნათ. 2012 წელს, სამართალდამცავებმა საქართველოდან ჰერეთში ქართულენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოების შეტანის ბრალდებით, თბილისი - ზაქათალა - კახის მიკროავტობუსის მძღოლიც დააკავეს და თანხის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს, შემდეგ კი ჰერეთის ქართული სექტორის სკოლებში ჩხრეკა ჩაატარეს. ჩხრეკის შედეგად უშიშროების თანამშრომლებმა 200-ზე მეტი ქართული სახელმძღვანელო ამოიღეს. მანამდე, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა სოფელ ალიაბადის პირველი საშუალო სკოლის ქართული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებელს ელინათა საფაროვას, ლაგოდეხთან, საქართველო - აზერბაიჯანის საზღვარზე, ქართული სახელმძღვანელოები ჩამოართვეს.

2010 წელს, აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან ხელშეშლის გამო, ჰერეთში ინგილოური დიალექტის კომპლექსური შესწავლის პროექტი ჩავარდა. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერები საინგილოში სამუშაოდ არ შეუშვეს.

ბოლო წლებში ჰერეთიდან ხუთი ქართველი მღვდელი იქნა გამოძევებული.

# დედოფლისწყაროს გამგებლის კონკურსი დამთავრდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის პირველი ეტაპი თოთხმეტმა კანდიდატმა გადალახა, თუმცა გასაუბრებაზე მხოლოდ 5 მათგანი გამოცხადდა. დავით ყარაგვეზაშვილი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ლალი ჯანიკაშვილი, ჯიმი კეკელაშვილი და გიორგი მჭედლიშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ვეფხია ნატროშვილის თქმით, კონკურსანტებიდან ადგილობრივი ორი ადამიანია.

„CV-ების გადარჩევის შედეგად, მეორე ეტაპზე გადავიდა 14 კანდიდატი, მაგრამ გასაუბრებაზე მხოლოდ 5 ადამიანი გამოცხადდა. კანდიდატებიდან დედოფლისწყაროებელი ყარაგვეზაშვილი და ჯანიაშვილი არიან. დანარჩენები ადგილობრივები არ არიან. კომისია გასაუბრების შედეგებს იხილავს და შევარჩევთ იმ ერთ ადამიანს, ვის კანდიდატურასაც საკრებულოს წარვუდგენთ“, - განაცხადა ვეფხია ნატროშვილმა.

დედოფლისწყაროს გამგებლის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში სულ 47 ადამიანი მონაწილეობდა.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც ირაკლი შიოლაშვილი კახეთის გუბერნატორად დაინიშნა.

# საშტატო ერთეული დაემატა

დედოფლისწყაროს საკრებულომ შესაბამის დადგენილებაში ცვლილებები 3 თებერვლის სხდომაზე შეიტანა. დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილის ნუკრი ხუციშვილის განმარტებით, არასაკმარისი შტატების გამო სამსახურმა გამგეობაში მოთხოვნა შეიტანა.

„სამსახურიდან მოთხოვნა იყო შემოსული. შტატები სამსახურის სახანძრო და სამაშველო განყოფილებებში და არხილოსკალოს ფილიალში დაემატა. როგორც ვიცი, ამჯერად საკმარისი შტატია,“ — აღნიშნავს გამგებლის მოადგილე.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ამ დრომდე სამსახურში 48 საშტატო ერთეული იყო, რომელიც 62-მდე გაიზარდა. როგორც დედოფლისწყაროს გამგეობის საფინანსო სამსახურში განმარტავენ, სახანძრო სამაშველო სამსახურის წლიური სახელფასო ფონდი ამ დრომდე 336 000 ლარს შეადგენდა, ამჯერად სახელფასო ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ხარჯები 419 500 ლარამდე გაიზრდება.

ილია მარტყოფლიშვილი

# შოთა მურღულიას მხარდამჭერებმა ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს სირცხვილის კორიდორი მოუწყვეს

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს თამაზ მარგველაშვილს ქუთაისში რადიო “ ძველი ქალაქის” ოფისთან ქუთაისის მერის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის შოთა მურღულიას მხარდამჭერებმა სირცხვილის კორიდორი მოუწყვეს.

საკრებულოს თავმჯდომარე რადიო გადაცემაში მონაწილეობდა. შოთა მურღულიას მხარდამჭრები აპროტესტებდნენ საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც მურღულია თანამდებობიდან გათავისუფლდა. მათი განცხადებით, მერის გათავისუფლება საკრებულოს თავმჯდომარის საქმე არ არის. ეს ხალხის გადასაწყვეტია.

აქციის მონაწილეები რადიოს ოფისთან საკრებულოს თავმჯდომარის მისამართით სკანდირებდნენ “ სირცხვილია,” “ წადიით და გაგვანებეთ თავი” , “აცადეთ მერთან მუშაობა ხალხს”.

“მივიღე გადაწყვეტილება, რომ დამეტოვებინა თანამდებობა, განცხადება სულ რამდენიმე წუთის წინ დავწერე და დღეიდან საკრებულოს თავმჯდომარე აღარ ვარ“, - განაცხადა მარგველაშვილმა 14 თებერვალს დღის ბოლოს.

# ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებს შეხვდა

საქართველოს პრემიერ—მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორს ფრენკ ჰემსკერკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს მენო სნელის შეხვდა.

ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები განიხილეს და სამომავლო პროგნოზები დასახეს. სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მაღალი რანგის წარმომადგენლები დადებითად აფასებენ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და აცხადებენ, რომ საქართველოსთვის 2014 წელი ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით გაცილებით წარმატებული იქნება.

შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორებს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების იმედი გამოთქვა.

14 თებერვალს მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის ხელმძღვანელები საქართველოს ფინანსთა მინისტრს შეხვდნენ, ასევე იგეგმება შეხვედრა საქართველოს ეკონომიკის მინისტრთან.

# „ბიზნესი გავანთავისუფლეთ ზეწოლისგან, არ ვართმევთ ქონებას, გავხსენით ახალი საექსპორტო ბაზრები“

აღნიშნულის თაობაზე განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020-ის“ პროექტის განხილვაზე.

სტრატეგიაში ასახულია ის მექანიზმები და ინდიკატორები, როგორიცაა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა, ადამიანური კაპიტალის განვითარება. აგრეთვე, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი წინაპირობების შენარჩუნება, როგორიცაა: მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობა, ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა. „ექსპერტები მაისიდან ჩაერთვნენ აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში. მასში ასახულია მიღწევის გზებიც. ჩვენ მიღწევის გზებს არა მხოლოდ ვწერთ, არამედ ვასრულებთ - ბიზნესი გავანთავისუფლეთ ზეწოლისგან და არ ვართმევთ ქონებას, გავხსენით ახალი საექსპორტო ბაზრები, ევროკავშირთან დამყარდება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი და გვექნება ახალი შეძლებლობები. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვიხილავდით პროცესებს, რომლებიც სტრატეგიის შემუშავებას ეხებოდა. დღესაც გამოითქვა გარკვეული შენიშვნები, მათ შორის, პროგნოზების დაზუსტებასთან დაკავშრებით. ასე რომ, ძალიან მალე დოკუმენტი საბოლოო სახეს მიიღებს და გამოქვეყნდება,“ - განაცხადა ნოდარ ხადურმა. ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას საქართველოს მთავრობა საჯარო განხილვების შემდეგ დაამტკიცებს.

# თეა წულუკიანი ნაციონალურ მოძრაობასთან შესახვედრად მზად არის

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ნაციონალურ მოძრაობასთან შესახვედრად მზად არის.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში თეა წულუკიანმა განაცხადა, ის ხვდება ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც შეხვედრას ითხოვს.

“წინასაარჩევნო პერიოდში უწყებათაშორისი საბჭო მოქმედებს, მაგრამ შუალედურ პერიოდშიც მე არაფერი მიშლის ხელს, რომ როდესაც მომმართავენ და შეხვედრას ითხოვენ, მათ შევხდე. მე ვხვდები ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც შეხვედრას ითხოვს, სამწუხაროდ, ხშირად დრო არ მყოფნის და ყველას ვერ ვხვდები, მაგრამ ამ მოთხოვნას შევისწავლი და სერიოზულად მოვეკიდები”, - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

ნაციონალური მოძრაობა იუსტიციის მინისტრთან შეხვედრას ითხოვს. ზურაბ ჯაფარიძემ 14 თებერვლის ბრიფინგზე განაცხადა, თეა წულუკიანისგან აინტერესებთ, რატომ ხელმძღვანელობს პროკურატურა ორმაგი სტანდარტებით.

# „112“ თქვენს სამსახურში

„112“ ეს არის ნომერი, სადაც ვრეკავათ, როდესაც გვჭირდება საპატრულო პოლიციის, სახანძრო-სამაშველო სამსახურის, თუ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. რთულია ამ სამსახურის მსახური იყო, უფრო რთული კი, ამ სფეროში მუშაობის დროს ადამიენების ნდობის და სიყვარულის მოპოვება. 11 თებერვალს საქართველოში „112“-ის დღე აღინიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტს ჩვენს რაიონში სამი მსხვილი ორგანიზაცია ექვემდებარება,- სახანძრო-სამაშველო სამსახური, შს სამინისტროს დედოფლისწყაროს პოლიციის განყოფილება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურების სამსახური. გაზეთმა „შირაქმა“ ამ ბოლოზე შევაჩერა თავისი ყურადღება და ერთი დღე დედოფლისწყაროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში გაატარა. საუბარი ამ სამსახურის ხელმძღვანელთან ექიმ ნუკრი ბალაშვილთან შედგა.

**-ბატონო ნუკრი, გვითხარით, როგორია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დედოფლისწყაროს ცენტრის ყოველდღიური სამუშაო პროცესი და რა სიახლეები შეინიშნება თქვენს ორგანიზაციაში?**

-უპირველეს ყოვლისა მინდა მოგახსენოთ, რომ სახელწოდება შეგვეცვალა და უკვე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი დაგვერქვა, ამასთან სიახლეა ის, რომ ჩვენი მეპატრონე აღარაა კერძო კომპანია, პირველი თებერვლიდან სახელმწიფო საკუთრებაში გადავედით, ეს რა თქმა უნდა კარგია, რადგან კარძო კომპანიების ხელში რა მდგომარეობაშიც ჩავარდა ჩვენი სამედიცინო პუნქტები, ყველამ კარგად დავინახეთ. რაღა თქმა უნდა, სახელმწიფოს საკუთრებაში ყოფნა ბევრად უკეთესია, მოგეხსენებათ ამას აქვს უამრავი დადებითი, ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ მეტი ყურადღება და მეტი თანადგომა გვაქვს.

**-რაში გამოიხატება თანადგომა? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია სასწრაფო სამედიცინო ცენტრის თანამშრომლებს აქვთ პრობლემებიც, მაგალითად ფორმა დაუძველდათ, ავტომანქანების პრობლემაცაა, მოსახლეობა ამბობს, რომ ძალიან ძველი მანქანებია, არის რაიმე ხელისშეწყობა ან დაპირება ამ მხრივ?**

-კი, მას აქეთ, რაც სახელმწიფომ გადმოიბარა სასწრაფო სამედიცინო სამსახური,ისინი გვპირდებიან, რომ გაეცნობიან ჩვენს პრობლემებს და არის რეალური პერსპექტივა, რომ დაგვეხმარებიან, სულ მალე ექთნებისა და ექიმებისთვის გადმოგვცემენ ახალ ფორმებს, ასევე ახალ სასწრაფო მომსახურების ავტომანქანებს და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, გვექნება ახალი სამედიცინო აღჭურვილობა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ექიმები აღნიშნული დანაპირების დიდ მოლოდინში არიან და ელიან კარგ სიახლეებს.

**-რამდენადაც ცნობილია, დღეში ორი ბრიგადა მორიგეობს, ჩვენ საკმაოდ დიდი ტერიტორიების მფლობელი რაიონი ვართ, საინტერესოა, როგორ ასწრებს ორი ბრიგადა ამხელა რაიონის გამოძახებებზე გასვლას, რამდენი გამოძახებაა დაახლოებით ერთი თვის მანძილზე და თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ორივე ბრიგადა გასულია და ამ დროს მესამე გამოძახება ემთხვევა, სადაც ასევე სასიცოცხლოდ სჭირდებათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ხშირია თუ არა ასეთი შემთხვევები?!**

-უპირველეს ყოვლისა მინდა გითხრათ, რომ ორის მაგიერ სამი ჯგუფი მორიგეობს ყოველდღე, მესამე სამორიგეო ჯგუფი მუდმივად გახლავთ ქედების ზონაში. ეს იქაური მოსახლეობის მოთხოვნის შესაფერისად გაკეთდა, ქედების ზონის მოსახლეობა მანძილის სიშორის გამო, წლები ითხოვდა მათთან ახლოს ყოფილიყო სასწრაფო დახმარება, სხვათაშორის ძალიან ამართლებს ზემო ქედში სასწრაფოს მუშაობა, რადგან გამოძახებები რაოდენობრივი ნიშნული საკმაოდ მაღალია. მთელს რაიონში ერთი თვის მანძილზე 300-დან 350-მდე გამოძახებაა. იშვიათად, ხდება ისეც, რომ ექიმთა ორივე ჯგუფი გასულია გამოძახებაზე და მესამე გამოძახებაცაა, თუმცა ასეთი დამთხვევა შესაძლოა წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მოხდეს.

**- ახალი კანონი შემოიღეს, „112“-ის ცრუ გამოძახება დასჯადი გახდა. ამბობენ, რომ „112“ უძახებენ მაშინაც, როცა ამის აუცილებლობა არაა, თუმცა ადამიანები ამას ვერ აცნობიერებენ, ხშირია ასეთი ცრუ გამოძახება ჩვენს მუნიციპალიტეტში?**

-სამწუხაროდ გვქონდა ასეთი გამოძახებებიც, თუმცა ეს შესაძლოა წელიწადში სულ სამჯერ მომხდარიყო. მე მივმართავ მოსახლეობას, რომ ნუ შეეცდებიან სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ტყუილ გამოძახებას და მერე დამალვას, რადგან ყოველი ასეთი შემთხვევა გამოძიებული იქნება და მკაცრად დასჯილი.

**-ჩემს შემთხვევაში სასწრაფო სამსახურს არასოდეს დაუგვიანია და დროზე ადრე მოსულა, მაგრამ მოსახლეობას ჰგონია, რომ „112“-ზე ქალაქში დარეკვის პროცესი საკმაოდ ახანგრძლივებს სასწრაფო სამედიცინო სამსახურის დროულ მისვლას გამოძახებული ავადმყოფის ადრესატამდე. ამაზე თუ ისმენენ ექიმები პრეტენზიებს?**

-„112“-ზე დარეკვის დროს პროცესი ვითარდება ასე, თბილისის ოპერატორი ტელეფონზე პასუხისთანავე პარალელურად იწყებს კომპიუტერში მონაცემების ჩაწერას, მის ეკრანზე ნაწერს, ჯერ კიდევ წერის პროცესში ჩვენი ოპერატორი ეკრანზე ხედავს და სანამ თბილისის ოპერატორი ჩვენთან ზარს განახორციელებს, ჩვენს გამსვლელ ჯგუფს უკვე აქვს ინფორმაცია გამოძახების შესახებ. მოსახლეობას კი, რატომღაც აქვს არასწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქში დარეკვა დროის წართმევაა, თუმცა ფაქტია და კარგად იციან, რომ ეს სულაც არ გვიშლის ხელს დროულად მივიდეთ ავადმყოფამდე. მიუხედავად ამისა, მისვლისთანავე ექიმს აძლევენ საყვედურს, რომ დაიგვიანა. ეს საქციელი მათ უბრალოდ ჩვევაში აქვთ გამჯდარი. რიგ შემთხვევებში, ექიმი იძულებული გავმხდარა და გადაუმოწმებია მათ მიერ დარეკილი ზარის დრო და ადგილზე გამოცხადების დრო, ამ მომენტში თავადვე აღმოჩენილან უხერხულ სიტუაციაში და სიტყვები უკან წაუღიათ, რადგან თავადვე დარწმუნებულან, რომ დროში დაგვიანებას ადგილი ნამდვილად არ ჰქონია.

**-რაც შეეხება ხელფასებს, ვიცით, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებს ძალიან მძიმე შრომა უწევთ, ფაქტიურად ისინი უამრავ უძილო ღამეს მსხვერპლად სწირავენ რიგითი ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის, როგორია ამ დროს მათი შრომითი ანაზრაურება, ვიცი და გამიგია ექიმების მხრიდან შრომითი ანაზღაურების უკმაყოფილებაზე პრეტენზიები. მით უმეტეს მოსახლეობაც კი აღიარებს, რომ ჩვენს რაიონში ყველაზე მისახედი სფერო მედიცინაა. რას ფიქრობთ ამ საკითხზე და რით ახსნით ყოველივეს?**

- უკვე ვიცი და მომეხსენება ჩემი კოლექტივის აზრი ამ თემასთან დაკავშირებით, ვიცი რომ მათი ანაზღაურება რეალურად გაწეულ შრომასთან არ არის შესაბამისობაში მოყვანილი, ისინი ამბობენ, რომ ქალაქის სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ექიმებს 1000 ლარამდე ხელფასები აქვთ და მიაჩნიათ, რომ არანაკლებ სამსახურს ეწევიან რეგიონის ექიმები. მართალია ქალაქში მეტი გამოძახებებია და რისკის ფაქტორიც მაღალია, მაგრამ არანაკლები რისკის ქვეშ იმყოფებიან ჩემი სასწრაფოს ექიმები. თუ ქალაქში სასწრაფო დახმარების ჯგუფი ხუთ ათ წუთში საავადმყოფოს კარებთან არიან და პასუხისმგებლობის ტვირთიც ავადმყოფის ყოფნა არ ყოფნაზე მეტ ნაკლებად მოხსნილი აქვთ, აქ ექიმმა სასწრაფო დახმარების მანქანით შესაძლოა ისეთი შორი მანძილიდან გარისკოს ავადმყოფის გადმოყვანა, როგორიცაა საბათლოს, ფიროსმანის ან სამთაწყაროს სოფლები, მოგეხსენებათ ერთი საათის, საათნახევრის მანძილზე ექიმს უწევს მის სიცოცხლის შენარჩუნებასთან ჭიდილი, როდესაც არანაკლები შრომა და განცდა, მეტი პასუხისმგებლობა და ტვირთი აქვს ექიმს. ამიტომ რეალურია, რომ რეგიონის სასწრაფოს ექიმების და ექთნების მუშაობა ორმაგად საფრთხისშემცველი და მძიმეა, ვიდრე ქალაქის ექიმის მუშაობა. მაგრამ ისევე როგორც ყველაფერში რეგიონის პროფესიონალიზმი რაც არ უნდა მაღალი იყოს, უპირობობის ფონზე მაინც არ ჩანს. ასე, რომ რასაც ითხოვენ ჩემი ექიმები, სამართლიანად ითხოვენ და მე ამაში ვერ შევეწინააღმდეგები, პირიქით მხარს ვუჭერ ჩემს კოლეგებს.

**-პირადად შევსწრებივარ ფაქტს, რომ საავადმყოფოში სასწრაფო დახმარებით გადმოყვანილ პაციენტს, რომელიც საკაცეზე მწოლიარე მდგომარეობაში ყოფილა, ადგილზე მიმღებში არავინ დახვედრია, ვინც ავადმყოფს საკაცით გადმიყვანდა და ზემოთ სართულზე აიყვანდა, ამიტომ მისი მეორე სართულზე საკაცით აყვანა თავად სასწრაფოს ექიმს და ექთანს განუხორციელებიათ, როგორც შემდეგსი გავარკვიე , ასეტი სამუშაოს გაწევა ექიმობასთან ერთად ხშირად უწევთ სასწრაფოს ექიმებს, გასაგებია, რომ ექიმს ჰიპოკრატეს ფიცი აქვს დადებული და ავადმყოფი არ უნდა მიატოვოს უგულისყუროდ, მაგრამ ეს ხომ ადამიანის უფლებების, ამ შემთხვევაში მოსამსახურე ექიმის ძალიან უხეში დარღვევაა?!**

-კი, ეს ამბავიც ჩემთვის კარგად ნაცნობია და ვიცი, ეს საავადმყოფოს პრობლემაა და არა ჩვენი, ცუდია, რომ მათ არ ჰყავთ კარზემდგომი ადამიანები, ვინც ავადმყოფს საკაცით ასწევს და ზედა სართულზე აიყვანს. ვფიქრობ, ეს აუცილებლად უნდა მოაგვარონ, რადგან ჩემი ექიმების შრომის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს მათი პრობლემის გადაჭრა, თუმცა ფაქტია და ყველამ ვიცით, რომ საავადმყოფოს სტანდარტები რა ხანია არ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და ცხადია, იქ მხოლოდ პაციენტის აყვანის საკითხი არაა მოსაგვარებელი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდება.

**-თუ არსებობენ ისეთი ავადმყოფები, ვისაც აკვიატებული აქვს „112“-ის მეშვეობით სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ხშირი გამოძახება ისე, რომ უკვე ჩვევაში აქვს გადაზრდილი ეს ქმედება. არის თუ არა ამ დროს მადლიერება ექიმთა პერსონალის მიმართ და რამდენად გამართლებულია ასეთი ხშირი გამოძახება ერთი და იგივე ადამიანისგან?**

-ნამდვილად არიან ასეთი ავადმყოფებიც, რომლბიც ხშირად გვიძახებენ, თუმცა ჩვენ მათ არც ვაყვედრით რაიმეს და არც ვაგრძნობინებთ, რომ მისი გამოძახებები მოჭარბებულია, პირიქით ისინი ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილად იქცნენ და უშურველად ვუწევთ შესაფერის კონსულტაციასა, თუ სამედიცინო დახმარებას არ საჭიროებენ, ხომ არც გამოგვიძახებდნენ, ჩვენ ასეთებთან ურთიერთობასაც ვაგვარებთ. მადლიერებას რაც შეეხება არის კატეგორია, რომ კმაყოფილები არიან და მადლობას გვიხდიან, არის ავადმყოფების მცირე კატეგორიაც, რომლებიც ყოველთვის კრიტიკულები არიან და ბუნებაში აქვთ გამჯდარი, რომ პოზიტიურ ქმედებაშიც აურყოფითი რამ ნახონ, ასეთ ადამიანები ცოტა რთულები არიან და ვცდილობთ თავისებურად გავუგოთ, თუმცა მინდა მოვუწოდო პაციენტებს, რომ იყვნენ კორექტულები ექიმებთან დამოკიდებულებაში, მისცენ საშუალება ექიმს გაუწიონ დახმარება, ვიდრე მათი საყვედურებ ისმინოს. აქვე მინდა დავძინო, ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოძახების დროს პაციენტი ნასვამ მდგომარეობაში გვხვდება და ისეთ აგრესიულ ქმედებებს სჩადის, რომ გარდაუვალი ხდება პატრულის ან პოლიციის გამოძახება, მე მოვუწოდებ და ვაფრთხილებ მათ, რომ ნებისმიერი ასეთი ქმედება, როდესაც ექიმის მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას გამოხატავენ, მკაცრად იქნებიან დასჯილი და მოერიდონ აურყოფით დამოკიდებულებებს.

**-ბოლოს მინდა მიმართოთ დედოფლისწყაროს მოსახლეობას, ალბათ გექნებათ კიდევ სათქმელი.**

- მინდა მოსახლეობას მინდა ვთხოვო, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიყენონ მიზნობრივად და განახორციელონ გამოძახება მხოლოდ იმ დროს, როცა მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, არ გამოიყენონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა როგორც ტაქსი ტრანსპორტირებისთვის სახლიდან საავადმყოფომდე. ვინაიდან დედოფლისწყაროს ქუჩები არ არის დანომრილი, გამოძახების შემდეგ დახვდნენ დასახელებულ მისამართზე გარეთ, რათა არ დაიკარგოს დრო. გამოძახების დროს, ნუ იქნებიან ოპერატორთან საუბრის დროს აგრესიულები, უმჯობესია დაასახელონ ავადობის ზუსტი მიზეზი(მუცლის ტკივილი, წნევა, სისხლდენა თუ ასე შემდეგა), რადგან გასვლისას ჯგუფს უნდა ჰქონდეს საორიენტაციო მიმართულება, თუ რა დაავადებაზე მიდის და რა სამზადისია ამისთვის საჭირო. ნუ დაიბნევიან იმით, რომ თბილისის ოპერატორს ესაუბრებიან, პირიქით მიაწოდონ მაქსიმალური ინფორმაცია მისამართის შესახებ, მეტი კონკრეტიკისთვის შეუძლიათ ჩვეულებრივად მიუთითონ თბილისის ოპერატორს ნაცნობი ადგილის სახელიც. არ იფიქრონ ის, რომ თბილისის ოპერატორიამას ვერ მიხვდება, გადმოცემის დროს, ჩვენ დასახელებულ ადგილს აუცილებლად ვინიშნებთ და ბევრად დროულად მივალთ დანიშნულების ადგილამდე. მათ კი, ვინც აკეთებს ცრუ გამოძახებებს გართობის მიზნით მინდა მოვუხმო გონიერებისკენ და გავაფრთხილო ყველა შემთხვევა სათითაოდ იქნება გამოკვლეული, ასეთი პირი აუცილებლად დაისჯება კანონმდებლობით. მინდა დავამატო ერთიც, ხშირია, როდესაც ავადმყოფს ეზარება უბნის ექიმთან ადგილზე მისვლა და ამისთვის სასწრაფო სამედიცინო მომსახურების გამოძახებას ცდილობს, მე მინდა ვუთხრა მათ, დღის განმავლობაში პაციენტებმა უნდა მიმართონ უბნის ექიმებს, განსაკუთრებით ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფებმა და არ ეცადონ ამისთვის გამოიყენონ სასწრაფო სამედიცინო პერსონალი უბნის ექიმის სტატუსით! სასწრაფო დახმარება გამოიძახონ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც მათი დაავადება რთულდება. ასევე მინდა ვთხოვო, გაგებით მოეკიდონ „112“-ზე დარეკვის ამბავს და დავარწმუნო პაციენტები, რომ არავითარ შემთხვევაში არ იკარგება დრო თბილისში დარეკვის დროს. პირიქით, ეს ჩვენს პუნქტუალურ მუშაობას უწყობს ხელს. მადლობა მინდა მოვუხადო აქვე სამართალდამცავებს და საპატრულო სამსახურს სამედიცინო პერსონალის აქტიური თანადგომისთვის და დროული რეაგირებისთვის... და ბოლოს, ყველას ვინც ჩართულია „112“-ის ქსელის სამსახურში მინდა მივულოცო პროფესიული დღე, ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას, ნაყოფიერ შრომა - საქმიანობას და წარმატებებს პირადსა თუ პროფესიულ საქმიანობაში.

P.S. ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ 112-ის დღე ამ შემთხვევაში ექიმებს, ექთნებს და ყველა მათ მუშაკებს, ვინც სასწრაფო სამედიცინო სფეროს სამსახურში დგას და ვუსურვოთ, რომ ყოველი ახალი დღე წარმატებულ საქმიანობაში გაელიოთ, არ მოჰკლებოდეთ მადლიერი პაციენტების რიცხვი და სათანადო დაფასება საზოგადოებისგან!




ლალი მეხრიშვილი

# „სიზმრად ვნახე საქართველო“...

პოეტ მარინა ჭუმბურიძეს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. მითუმეტეს, გაზეთ „შირაქის“ მკითხველი მას კარგად იცნობს. ბოლო დროს აღარ ჩანდა, ყველას უკვირდა. მიზეზი მისი ემიგრაციაში ყოფნა აღმოჩნდა. ყველასთვის საყვარელ არბოშიკელ ქალბატონს ჩვენ იტალიაში, ქალაქ ტრიესტეში მივაკვლიეთ. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ მას თანარაიონელებთან საუბრის საშუალება მივეცით, რამაც ძალიან გააბედნიერა.

თავად მარინა ჭუმბურიძე სამშობლოს დატოვების საკმაოდ მძიმე მიზეზებს გვიმხელს და საჯაროდ პირველად საუბრობს იმ სკანდალურ დეტალებზე, თუ როგორ იმსხვერპლა ნაციონალურმა მოძრაობამ მისი სიძის სიცოცხლე, რის შემდეგაც მის ცხოვრებაში საზღვარგარეთ გადახვეწის აუცილებლობა დადგა.

მარინა ჭუმბურიძე: „ბევრმა ქართველმა დატოვა იძულებით ოჯახი, მათი უმრავლესობა მანდილოსნები არიან. იმ არაადამიანურმა ყოფამ და არსებული ხელისუფლების მოპყრობამ გადაგვადგმევინა ეს ნაბიჯი. სამსახურები აღარ გვქონდა, ხშირად პურის ფული არ გვქონდა. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ჩემი სიძე, ახალგაზრდა ინჟინერი ბიჭი თედო ჩალაძე ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ იმსხვერპლა. იმხანად ისეთი მუქარის ზარები იყო, ვერც ხმა ამოვიღეთ და ვერც პროტესტი გამოვხატეთ. ჩემს შვილს ჩემს გარდა აღარავინ ჰყავდა, სამი ობოლი შვილიშვილი დამრჩა და ცხოვრებამ და იმ ყოფამ მაიძულა ლუკმა პურის საშოვნელად წამოვსულიყავი. ძნელია, ცრემლების გარეშე ამაზე მშვიდად ვისაუბრო.

მკვლელობა 2010 წლის 18 ივნის, „ბერტას“ ქარხანაში მოხდა. სამჯერ ჰქონდა ყელზე თოკი... ხელის თითების ფრჩხილები ხის ქერქით სავსე იყო, ჩანს იბრძოდა. ჩემის სიძის მკვლელობის ხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილის კლასელი უჩა ზუმბაძე იყო. ისიც ყველასთვის კარგადაა ცნობილი, ვის ეკუთვნის „ბერტას“ ქარხანა. ამის შემდეგ იმალებიან და გარდაცვლილს აბრალებენ მილიონობით თანხის მითვისებას და ა.შ. ის მერაბიშვილის კლასელი ხშირად ამბობდა, ისეთი დაცვა გვაქვს, ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო. როგორ ვეხვეწე შემხვდი-მეთქი მაგრამ დამემალა. პირადი ბლოკნოტი თედოს დალუქული მანქანიდან მოიპარა და დამალა. საინტერესოა, რა უფლებით წაიღო. თუმცა, მერაბიშვილის ფაქტორით გათამამებული თავს ყველაფრის უფლებას აძლევდა.

წინა დღეებში ჩემი სიძის კუთვნილი ავტომანქანა მისმა ხელმძღვანელობამ ითხოვა, მოგვიანებით კი შეჭეჭყილი და სისხლიანი მოუტანეს. როგორც ვიცი, ჰქონიათ დიდი დავა, მაგრამ რაზე, ეს საიდუმლო სამარეში ჩაიტანა. ხეზე ჩამოახრჩეს 2 მეტრი სიმაღლის ბიჭი, სამჯერ თოკწაჭერილი და ნაცემი იყო და გააფორმეს, თითქოს თვითმკვლელობა იყო. ბოლოს 20 მილიონიც დააწერეს გარდაცვლილს. ამ დროს ცოლ-შვილი ღია ცის ქვეშ დარჩა, მშენებარე სახლი ჰქონდათ. ჩემს შვილს აღარავინ დარჩა, მამაც მოუკვდა და მამამთილიც. აღმაშფოთებელი იყო ის ფაქტიც, რომ ყველა ჩვენი ახლობელი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ჩემს შვილს ობლები ღია ცის ქვეშ დაუტოვეს, 2 თვის პატარა და 8-9 წლისანი კი დიდები. იტალიაში რომ არ მემუშავა, ამ ოჯახს წელში ვერ გავმართავდი... ჩემი სიძის მეგობრები ღამღამობით მიდიოდნენ ჩემს შვილთან და ეხმარებოდნენ მშენებლობაში. ყველას ეშინოდა... მერე მუქარის ზარებმაც შეგვაშინა... ბოდიშს გიხდით, ცრემლების გარეშე ვერ ვიხსენებ...

ბოლო დროს ჩემი სიძე წეროვანში „ბერტას“ ქარხნის მენებლობაზე მთავარი ინჟინერი იყო,სადაც ობიექტის უფროსად მერაბიშვილის კლასელი და მეგობარი მუშაობდა. თვეობით არ უხდიდნენ ხელფასს, უხარისხოდ აკეტებინებდნენ... სულ დაპირისპირებაში იყვნენ. სამების ეკლესია საძირკვლიდან დათავრებამდე მისი აშენებულია. საამაყოდ დაგვიტოვა უამრავი თავისი მუშაობის ამსახველი ვიდეო ფირი.

საქმე დღემდე ბურუსითაა მოცული. ჩვენ კი გვემალება ზუმბაძე, ცდილობს, რომ საეჭვო კითხვებზე არ გვიპასუხოს. არც პატრონი გვყავდა, შიში და ათასი უბედურება გადავიტანეთ. აიძულეს, თუ ჩამოახრჩეს, ფაქტია მკვლელობა იქ მოხდა. მერაბიშვილის კადრი სულ ცრუობდა და გვემალებოდა. ახლაც ჩემი შვილი მეხვეწება, ტკივილს ნუ გამიახლებო.

**- ანუ, როგორც მივხვდი, ამჟამად გამოძიება არ მიმდინარეობს. თუ აპირებთ სიმართლის დასადგენად იბრძოლოთ?**

- აუცილებლად ვაპირებ. რომ ჩამოვალ, მინდა კარგი იურისტი ვნახო და მივეხედო ამ საქმეს. მე სხვა რამ უფრო მტკივა. რატომ უნდა დარჩეთ ჩემს შვილიშვილებს სირცხვილად, თითქოს თვითმკვლელობა იყო? შესანიშნავი, ნიჭიერი ბავშვები იზრდებიან და აუცილებლად ვიბრძოლებ, რომ ფარდა ავხადო ამ საიდუმლოებას.

**- ამ მძიმე საუბრის შემდეგ მოდით სხვა თემებზე გადავიდეთ, როგორ ჩანს შორიდან საქართველოში მიმდინარე მოვლენები და რამდენად გაქვთ საშუალება ქართულ ტელეგადაცემებს უსმინოთ, ან ჩვენს ქვეყანაში პროცესებს თვალი ადევნოთ.**

- ძირითადად ინტერნეტით ვადევნებ თვალყურს. ქართულ ტელეგადაცემებს ვერ ვახერხებ, მაგრამ საბედნიეროდ ინტერნეტის საშუალებით ვიდეო ჩანაწერებს და სხვა ბევრ ამბავს ვიგებ. ხშირად მაქვს საშუალება ამბები გავიგო და ნაცნობებს ვეკონტაქტო. აღფრთოვანებული და სიამაყით სავსე ვარ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობს ჩვენი კუთხის შვილი, ძალიან კარგ ოჯახში აღზრდილი, კაი ყმა ქართველი ირაკლი ღარიბაშვილი. ეს ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო ინფორმაცია იყო. მისი იმედი ნამდვილად მაქვს და მჯერა, რომ შუქი გამოჩნდება გვირაბის ბოლოს და ემიგრანტებს საქართველოში დაგვაბრუნებს. ძალიან გული მტკივა, რომ სერიოზული ძვრები ჯერ არ ჩანს. ასე მოკლე დროში არც ველი, ვერ წარმომიდგენია, რომ პირველ წლებში ამხელა პრობლემების გადაჭრა მოხერხდეს. მთავარი ისაა, რომ მომავლის მჯერა და ძალიან ვენდობი არსებულ ხელისუფლებას. ღმერთმა ქნას, უფლის წყალობით და თითოეული ქართველის თანადგომით, ახალმა ხელისუფლებამ ჩვენც გვიშველოს და ემიგრანტები სამშობლოში დააბრუნოს.



**- უცხო ქვეყნიდან რამდენად რეალური ჩანდა „ნაციონალური მოძრაობის“ დამხობა, როგორ შეაფასებთ ხელისუფლების ცვლილების პროცესს და ახალი ხელისუფლების ნაბიჯებს?**

- ყოველთვის მჯეროდა, რომ ქართველი ხალხი გონიერია და ხმას სიმართლეს მისცემდა და ნაციონალური მოძრაობა დამარცხდებოდა. ვფიქრობ, რომ ის ხელისუფლება უფრო ადრე დაემხობოდა. როცა რწმენა აქვს და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ადამიანია ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ის წარმატებით მართავს ქვეყანას და რატომღაც მჯერა მათი. ყოველთვის ვამბობ ხოლმე, რომ ვინც არ უნდა მართავდეს ჩვენს ქვეყანას, თუ ხალხი არ დაუდგა გვერდით, ასე არაფერი გამოვა. თითოეული ადამიანის შეგნებაში უნდა იჯდეს ის ერთობა და თანადგომის სურვილი, რასაც მე ევროპაში ვხედავ. მე როგორც ხელოვანი ადამიანი, იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი შემოქმედებითი არეალის გაშლას ახალი ხელისუფლება მაღირსებს და უფრო მეტის კეთების საშუალება გვექნება.

ვხედავ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლებს, ხშირად ვკითხულობ ახალ ამბებს. ძალიან მომწონს თუნდაც უსახლკაროთა თავშესაფრის გახსნასთან დაკავშირებით ღარიბაშვილის მიდგომა. ძალიან მესიამოვნა ეს ფაქტი. ალბათ ეს თანადგომა დიდი სტიმული იყო მათთვის, ვისაც ცხოვრებაზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული. ვხედავ ცვლილებებს ჩვენი რაიონის მაგალითზეც. მესმის გზების გაყვანის, თუ სხვა მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ. მესმის ისიც, რომ შედარებით გაუმჯობესება შეინიშნება. ძნელია იტალიიდან შეაფასო ცვლილებები, მაგრამ რა კონტაქტები და წყაროებიც მე მაქვს, გული სიამაყით და სიხარულით მევსება. იქნებ, მართლა გვეშველოს.

**- რამდენად ხშირად ახერხებთ სამშობლოში ჩამოსვლას?**

- საქართველოში დაბრუნების სურვილი, ცხადია, ხშირად მაქვს, მაგრამ მოგეხსენებათ, ოჯახებში ხელშეკრულებებით ვმუშაობთ და ხშირად ქვეყნის დატოვების უფლება არ გვაქვს. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, კანონის თანახმად წელიწადში ერთხელ შვებულებას გვაძლევენ, თუმცა შეთანხმების მიხედვით, შეგვიძლია 40-დღემდე გავზარდოთ ხოლმე და ზაფხულობით ჩამოსვლას ყოველთვის ვახერხებ ხოლმე. დოკუმენტაცია წესრიგში მაქვს და მიმოსვლაზე დაბრკოლება არ მექმნება.

ჩემს სოფელში, არბოშიკში შარშან ზაფხულში ვიყავი და ძალიან გული მტკივა, რომ განსაკუთრებული ცვლილებები სოფელს ვერ შევნიშნე. მაპატიეთ, მეც ვბერდები, მაგრამ სოფელიც ძალიან დაბერებული მომეჩვენა. შემოქმედებითი ადამიანი მოგეხსენებათ როგორია და ადგილობრივებს გავესაუბრე, ისევ გაჭირვება და გულისტკივილია. ძალიან მესიამოვნა, რომ სანიაღვრე არხი გაიწმინდა, რაღაც ობიექტების რეაბილიტაცია იწყება.

**- როგორ ფიქრობთ, რეჟიმის დამხობა ივანიშვილის ფაქტორმა განაპირობა, თუ ამაში დიდი როლი მედია-კავშირ „ობიექტივის“ მიერ ექსკლუზიურად გავრცელებულმა ციხის სკანდალურმა კადრებმა ითამაშა?**

- ჩემი აზრით ივანიშვილმა ძალიან დიდი როლი ითამაშა. ცხადია ციხის კადრებმაც გარდამტეხი როლი შეასრულა. ვიდეომასალამ ძალიან ამაღელვა, იმდენად დათრგუნული ვიყავი, მთელი თვე მდგომარეობიდან ვერ გამოვდიოდი. ივანიშვილს ყოველთვის ჰქონდა დიდი წონა და მისი ყოველთვის სჯეროდა ქართველ ხალხს. ვიდრე საარჩევნო კამპანია დაიწყებოდა, მანამდეც ბევრი რამ ჰქონდა ჩვენი ქვეყნისთვის გაკეთებული.

**- როგორია სამშობლოს მოწყვეტილი პოეტი ქალბატონის ნოსტალგიური განცდები?**

მოდით, ერთ ჩემს ლექსს წაგიკითხავთ და ამით გადმოვცემ ჩემს სათქმელს ნოსტალგიასთან დაკავშირებით.

სიზმრად ვნახე საქართველო, მთელი ღამე არ მეძინა,
გულის გული ამტკივდა და ცრემლის ცრემლი დამედინა.
თითქოს სიხლი გამეყინა, თითქოს გულიც გამიჩერდა,
აუ, როგორ მენატრებით, უთქვენობა გამიჭირდა.
თვით წისქვილის ქვის ტრიალიც, ლამის თავზე მიგემია,
მაგრამ რა ვქნა, აქ მეფობას, მანდ მონობა მირჩევნია.
მტკვარზე ტივით მასეირნა, და ალაზნის მომცა ლოქო,
მთაწმინდაზე ვიმღერო და სამებაში დავიჩოქო.
მაქეიფა კახეთში და მცხეთის ხილვით გამახარა,
ბათუმის მზით გამრუჯა და რუსთაველზე გამატარა.
მენატრება საქართველოს წყალიც, მიწაც, მთაც და სერიც,
დამილოცე ღვთისმშობელო, ჩემი მიწის ყველაფერი.
და ღამეებს გავათენებ, ვისულდგმულებ სიზმრის ნახვით,
ღმერთო, ასგზის გევედრები, დაიფარე ჩემი ხალხი.
აქ არ მომკლა, დამაბრუნე, ჩემი მიწა დამაყარე,
სანამ აქ ვარ, კიდევ ბევრჯერ, სიზმრით მაინც გამახარე.

**- დიდი მადლობა ამ ექსპრომტისთვის, აქვე მინდა გკითხოთ, იტალიაში ყოფნისას შემოქმედებით საქმიანობას თუ აგრძელებთ, რამდენად გაქვთ საშუალება, რომ წერას არ მოწყდეთ?**

- მანამდე საკმაოდ მძიმე პირობებში მიწევდა მუშაობა, ბევრი ტანჯვა გამოვიარე, მაგრამ ივლისიდან ახალ ოჯახში ვმუშაობ. ძალიან კმაყოფილი ვარ პირობებით და მუდმივად მინდა მათ მადლობა გადავუხადო ხოლმე. ასე ვთქვათ, ფრთები გავშალე. ხშირად მაქვს საშუალება რომ ვწერო.

**- თუ, გეგმავთ, რომ ახალი კრებული გამოსცეთ?**

- რა თქმა უნდა ვგეგმავ. წელს ვერ მოვასწრებ, მაგრამ ვმუშაობ, ყველაფერს მოვაგროვებ და მომავალ წელს ორ წიგნს გამოვცემ... ერთი პროზა იქნება, მეორე კი ლექსების კრებული. თქვენ იცით, რომ უკვე გამოცემული მაქვს წიგნი „რაც მინახავს და გამიგონია“, სწორედ მისი მეორე ტომი მინდა დავბეჭდო, იტალიაში მყოფი ქართველების ეკლიანი გზა, ნამდვილ ამბებს თავს მოვუყრი და გამოვცემ. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება.

**- ყოველთვის საუბრობდნენ, რომ დედოფლისწყარო მიტოვებული რაიონი იყო და ახლა ადგილობრივებს იმედი აქვთ, რომ ამ სტატუსს მოიშორებს. რას ურჩევდით ხელისუფლებას, რომ დედოფლისწყარო განვითარდეს და წელში გაიმართოს?**

- ჩემი თხოვნაა, რომ თუ სოფლის მეურნეობა განვითარდეს. თუ გლეხს საშუალება არ მიეცა, რომ მიწა დაამუშავოს და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით წელი გაიმაგროს, ისე სოფელი ვერ გაძლიერდება. გლეხი ვარ მეც, გლეხის ოჯახში გავიზარდე და კარგად ვიცი სოფელს რა უჭირს. ყოველთვის ამბობდნენ, შირაქის ველების წყალობით დედოფლისწყარო საქართველოს ბეღელიაო. ძალიან გულსატკენია, რომ დღეს ქართველები საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქციით იკვებება. რატომ უნდა ხდებოდეს ასე, როცა ჩვენს მადლიან მიწაზე ბევრად უფრო ხარისხიანი მოსავალის მიღება შეგვიძლია. ძალიან ვთხოვ ხელისუფლებას, დაეხმაროს გლეხს და მიწის დამუსავება გაუადვილოს. ასეთ შემთხვევაში დედოფლისწყარო ნამდვილად წინ წავა და წელში გაიმართება. ამით კი ჩვენს წვლილს შევიტანთ საქართველოს განვითარებაში.

**- არბოშიკიდან დაწყებული ქედების ზონით დამთავრებული მინდა მოვეფერო ყველას, მთელს დედოფლისწყაროს. განსაკუთრებული სითბოთი ვეფერები გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლებს. უამრავი კეთილი სურვილებით გლოცავთ.**

ექვს წელზე მეტია შემოქმედებითი საღამო დედოფლისწყაროში არ მქონია და მას შემდეგ საზღვარგარეთ ვმუშაობ. ამხელა პაუზის შემდეგ პირველად მომეცით შესაძლებლობა მშობლიურ რაიონელებს მივმართო. მითუმეტეს, ხშირად მთხოვენ რომ დავბრუნდე. ჩემს დედოფლისწყაროელებს ამ ლექსით მინდა ვუპასუხო და კიდევ ერთხელ მოვეფერო. ეს ერთ-ერთი ახალი ლექსია, სულ რამდენიმე დღის წინ დავწერე.

ნუ, ნუ მემახით დაბრუნებისთვის,
გემუდარებით, ნურც რჩევას მაძლევთ.
რახან ეს მძიმე ჯვარი ვიტვირთე,
ავლევ გოლგოთას,უთუოდ გავძლებ!
მერე გავაღებ სულის სარკმელს და
შემობრუნდება იღბალიც წაღმა,
არ მეშინია? არ დავიღალე?
დედა და შიში, დედა და დაღლა?
...რომ დავბრუნდე და დამაკარგვინონ
იმედი,რითაც ვსულდგმულობ მუდამ?
ხელს ვერ გავიშვერ მათხოვრობისთვის,
(გთხოვთ, ნუ გამიგებთ ამ სიტყვებს ცუდად).
სევდიან წარსულს აღარ ვიხსენებ,
ხვალეს ვუმზერ და რწმენით ვჩუმდები,
თქვენ შემოგევლეთ მეც მეჩქარება,
„ამოვისუნთქებ“ და დავბრუნდები!

ახლა, აპრილში იტალიაში ვაპირებთ ქართული ხელოვნების საღამო გავმართოთ, ჯერ მონაწილეებს ვაგროვებთ. ვიქირავებთ დარბაზს და ერთ ლამაზ დღეს ვაჩუქებთ ერთმანეთს. სხვათაშორის იტალიაში ძალიან ბევრი დედოფლისწყაროელი ემიგრანტია და მთხოვეს, რომ მათი სახელით მოკითხვა გადავცე მთელს დედოფლისწყაროს.

**- ქალბატონო მარინა, ჩვენი საუბრის დასასრულ მინდა გკითხოთ, როდის ექნება თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემელს საშუალება პირადად შეგხვდეთ, ვიცი, რომ წელს შემოქმედებით საღამოს გეგმავთ...**

- საქართველოში გამომგზავრებას ვგეგმავ 25 ივლისს, ბილეთი უკვე შეძენილი მაქვს. ხოლო კვირიკობის დღესასწაულთან დაკავშირებით 27 ივლისს ვეპატიჟები ყველას შემოქმედებით საღამოზე. ღონისძიებას სოფელ არბოშიკში გავმართავ და ერთ ლამაზ საღამოს ვაჩუქებ მონატრებულ დედოფლისწყაროელებს. მოუთმენლად ველი ამ დღეს, ყველა ძალიან მენატრება.

ილია მარტყოფლიშვილი

# „ვალენტინობა" დედოფლისწყაროში

ვალენტინობა - შეყვარებულების დღეა, დღესასწაული, რომელიც 14 თებერვალს აღინიშნება. ამ დღეს თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს, შეყვარებულები ერთმანეთს ულოცავენ და ჩუქნიან ყვავილებს, საჩუქრებს,ღია ბარათებს.მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სრულიად უცხოა ეს დღე.თუმცა, არც კათოლიკურ ეკლესიას აქვს ეს დღე „სიყვარულის დღესასწაულად" აღიარებული. მაგრამ არის ღირსშესანიშნავი თარიღები, რომელთა მოახლოება იწვევს ტრადიციულ აზრთასხვადასხვაობას მისი უპირატესობა-ნაკლოვანებების შესახებ.

ჭეშმარიტი სიყვარულის გამჟღავნება-აღიარება დაკვეთით, გარკვეულ დღეს არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ, რა არის იმაში ცუდი, თუ გარკვეულ დღეს შენს რჩეულს კიდევ ერთხელ დაუდასტურებ სიყვარულს? ეს ხომ არ გამორიცხავს ამ გრძნობის სხვა დროსაც გამჟღავნებას?

ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას,რომ „ვალენტინობა", თავისი ჯერ კიდევ გაუბედავი მილოცვებით,მაინც უკვე შემდგარ დღესასწაულად ითვლება საქართველოში და რატომ არ ვუსურვოთ ჭეშმარიტი სიყვარულის განცდა, შენარჩუნება, გაძლიერება იმ შეყვარებულებს, რომლებიც გულწრფელად ულოცავენ ერთმანეთს ამ დღეს?

ამ დღესთან დაკავშირებით თუ რას ფიქრობს ჩვენი რაიონის მოსახლეობა, ჩვენ გავესაუბრეთ სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანებს, მათ შორის უფროსკლასელებსაც და 80 წელს გადაცილებულ,ჭარმაგი ასაკის ქალბატონებსაც.

“ვალენტინობასა“ და ზოგადად სიყვარულზე, ყველას ინდივიდუალური შეხედულება გააჩნია.

**ანა,16 წლის**-ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ამ დღეს ყოველთვის ძალიან ველი,...რატომ? მგონი არ ვიცი,უბრალოდ,ვიცი,რომ რაღაც მიხარია....

**თეა,17 წლის**-მე ვთვლი,რომ ეს შეყვარებულების დღეა და წყვილებმა ეს დღე ერთად უნდა გაატარონ, სიყვარული კი ის გრძნობაა, რომელიც ჰაერივით სჭირდება ადამიანს.

**ლელა,46 წლის**-სიყვარულო, ყოველი დღე შენია.ჰო, შენ გეკუთვნის. ყველა გეძებს, ყველას სჭირდები. საკმარისია, გიპოვონ და ბედნიერებისგან გიჟდებიან, ჭკვიანდებიან, ყინვაშიც თბებიან, წვიმაშიც მზის სხივებს ითვლიან, უფრთოდ დაფრინავენ, ღმერთს ემსგავსებიან, იებს ყიდულობენ, ლოთებს ამართლებენ, ხის ქვეშ ცხოვრობენ, ცულის ტარზე წვებიან, უშუქოდ ხედავენ, ბრმად დადიან. ოღონდ შენ იყო, ყველა დღე დღესასწაულია... 14 თებერვალიც, შობაც, აღდგომაც.თუ გიყვარს,გიყვარს დილით,შუადღით და საღამოს, ყოველდღე, ყოველ წუთს,ყოველწამს...

**ლევანი, 18 წლის** - ძალიან ბანალური ვიქნები, მაგრამ მაინც ვიტყვი,რომ სიყვარულის დღე ყოველი გათენებული დღე უნდა იყოს,როცა გიყვარს და როცა უყვარხარ, ამისთვის 14 თებერვალი, 15 აპრილი და სიტყვაზე,11აგვისტო, არ არის საჭირო.

**თამარი, 50 წლის** -ბოლოს როდის ვიყავი შეყვარებული და როდის აღვნიშნე ეს დღე, არ მახსოვს, ან რისთვის არის საჭირო ამ კონკრეტული დღის დამახსოვრება? მე მაქვს ჩემი დღესასწაულები და ჩემი „სიყვარულის დღეები".

ელგა, 40 წლის - ჩემი აზრით, „ვალენტინობის" დღესაც და ყოველდღიურობაშიც, სიყვარული მაცოცხლებელი ძალაა. ის ერთადერთი ჭეშმარიტებაა, რომლის გარეშეც ადამიანს ძალიან უჭირს ცხოვრება, იგი სასიცოცხლო ენერგიას გვაძლევს,მისი წყალობით იქმნება მყარი ოჯახები, მრავლდებიან მომავალი თაობები, ადამიანები უფრო ლამაზები და მოტივირებულები ხდებიან, მის გარეშე კი ცხოვრება უფერული და უინტერესოა!






კლარა ოზაშვილი, 84 წლის - სიყვარული ისევე მთავარია, როგორც ჯანმრთელობა. თუ ამ გრძნობით არ ცხოვრობ, გინდ ყოფილხარ, გინდ არა. უსიყვარულობა უსუსურობაა. 60 წელია მე და ჩემს მეუღლეს ოჯახი გვაქვს და თითქოს 60 დღეც არ გასულიყოს, ისეთი განცდა მაქვს. ეს არის ჭეშმარიტი სიყვარული, აბა, სხვა რა უნდა ვუწოდო ამას?

დარიკო არაბული, 66 წლის-მე თუ მკითხავთ, სიყვარული არ არსებობს, ტყუილია ეგ ყველაფერი. მართალია, მე ქმარიც მყავს და შვილებიც, მაგრამ მაინც არ მჯერა, რადგან, დღეს საითაც გაიხედავ, ოჯახები ინგრევა, უკან მობრუნებულ ატირებულ ქალებს რომ ვხედავ, როგორ დავიჯერო, რომ სიყვარული არსებობს?

აი ასე, სხვადასხვანაირად ფიქრობენ ისინი, მაგრამ მათი თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მას ცხოვრების მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს და ჩვენც ვეთანხმებით,რადგან სიყვარული არის ერთადერთი გზა ცხოვრების სწორად გავლის, გზა სიკეთის, ბედნიერების და ოცნებების ასრულების.

ელზა ხარაშვილი.

# როგორი მოსავალი ექნებათ 2014 წელს ფერმერებს?!

ალბათ, ამქვეყნად არ არსებობს იმაზე უფრო მადლიანი და სასიამოვნო საქმიანობა ქართველი კაცისთვის, ვიდრე ხვნა-თესვა და მიწათმოქმედება გახლავთ. ცხადია, ჩვენ ხომ მსოფლიოში “გეორქიებს”, ანუ მიწის მუშა ხალხს გვიწოდებენ. მადლიანია ქართული მიწა-წყალი, როგორადაც მოეფერები და მოუვლი, ისეთ ნაყოფსაც მიიღებ. ეს საკითხი ყველაზე მეტად ჩვენ გვეხება, დედოფლისწყაროელებს, რადგან საქართველოში ყველაზე მეტად მიწათმოქმედება ჩვენს რაიონშია განვითარებული, ყველაზე დიდი ფართობის სახნავ- სათესებსაც სწორედ ჩვენ ვფლობთ. აღნიშნული ფაქტი ერთბაშად პასუხისმგებლობას გვაკისრებს ქვეყნის წინაშე, როგორ შევინარჩუნებთ და როგორ მოვუვლით ამ მიწებს ისე, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობაც განვავითაროთ და ეკონომიკასაც შევეშველოთ. ეს კი, ჩვენი სიმდიდრის საზრიანად გამოყენებაზე და ჩვენს მოხერხებულობაზეა დამოკიდებული.

**როგორია შირაქში დათესილი წლევანდელი საშემოდგომო ნათესები, რამდენი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწაა დამუშავებული და რას ამბობენ ფერმერები მარცვლეულის მოცულობასა თუ გარემო პირობებზე, ამის შესახებ ჯერ ფერმერებს, შემდეგ კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტს -ასმათ გიგაურს ვესაუბრეთ.**

- „დედოფლისწყაროს რაიონის სახნავ-სამეურნეო მიწები შეადგენდა 50 000 ჰექტარს, აქედან 40 ათასზე ითესებოდა ხორბალი, ხოლო 10 ათასზე მზესუმზირა და სიმინდი, დღეის მდგომარეობა ძალზე ცუდია შირაქის ტერიტორიაზე, მოსახლეობის მიერ დროულად დაითესა, როგორც ხორბალი, ასევე ქერიც, თითქმის 10 ნოემბრამდე საშემოდგომო ნათესი ყველას უკვე დათესილი ჰქონდა, თუმცა 20 ოქტომბრიდან ნალექი არ მოსულა, რამაც ძალიან უკან დასწია ჩაგდებული მარცვლის გაღვივების და მოძლიერების პროცესი. ფაქტიურად, ხორბალი დარჩა მიწაში, ნაწილი გაღივდა, ნაწილი არა, რომ გადაგეხედა შირაქის მიწებისთვის, სულ გაშავებული იყო, რაც გაღივდა და ამოვიდა, ისიც ქარებმა გაახმო დეკემბრისა და იანვრის თვეში, თებერვლის თოვლმა ძალზე გაგვახარა ფერმერები, დაკნინებულ, გაუბედურებულ ყანებს დროულად ეშველა. ახლა საჭიროა, შევიტანოთ ამონიუმის გვარჯილა, რათა მოვახდინოთ მათი გამოკვება. იმისთვის, რომ ფერმერმა ერთი ჰექტარი მიწა სრულყოფილად და კარგად დაამუშაოს, მინიმუმ 800 ლარი მაინც სჭირდება მასზე დასახარჯად. როცა ფერმერი ამხელა თანხას სდებს, ნამდვილად შესაბრალისია, რომ მისი იმედები ქარებმა და უამინდობამ გაამტყუნოს. ჩემი აზრით, სასწრაფოდ საჭიროა ქარსაფარი ზოლების აღდგენა, რათა ჩვენი ნაკვეთები ქარებისგან მაინც დავიცვათ. ამჟამად მიდის მუშაობა ქარსაფარი ზოლების გაშენების კუთხით, მაგრამ ეს კიდევ არაა საკმარისი, უფრო მასიური მწვანე ნარგავების გაშენებაა საჭირო.“-აცხადებს ფერმერი ივერი ჭუჭულაშვილი.

- „დღეის მდგომარეობით, დედოფლისწყაროს სულ 47 000 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა ერიცხება, აქედან მოხნული და დამუშავებულია 33 000 ჰექტარი, 27 000 ჰექტარზე დათესილია ხორბალი, ხოლო 6 000 ჰექტარზე ქერი. დარჩენილ 14 000 ჰექტარს რამდენედ აითვისებენ ფერმერები და რა დაითესება საგაზაფხულოდ, ამაზე კომენტარი ჯერჯერობით ნაადრევია. ზოგადად, შირაქის ველებზე ასეთი მდგომარეობაა,-თებერვლის ნალექების მოსვლამდე ნამდვილად არ გახლდათ შესაფერისი მონაცემები ნათესების ხელშეწყობის თვალსაზრისით. ფაქტიურად შეჩერებული იყო მარცვლის ბარტყობის პროცესი, რასაც შემოდგომის ნათესებში დიდი მნიშვნელობა აქვს, ამასთან, თესლის აღმოცენებას მინდვრად მომრავლებულმა შოშიებმა შეუშალეს ხელი, რომლებმაც უამრავი ნაკვეთი გაანადგურეს, თოვლის მოსვლამ ყველა კმაყოფილი დატოვა, ახლა და წვიმების წინა პერიოდში ყველაზე შესაფერისი დროა, რომ ფერმერებმა სასუქი შეიტანონ უკვე დათესილ ნაკვეთებში.“-ამბობს ჩვენთან საუბარში ასმათ გიგაური.



**- ახლა სასოფლო სამეურნეო ბარათები რიგდება და ბევრი ადამიანი ცდილობს, დაამუშავოს მიწა, რა რეკომენდაციას მისცემდით მათ, ვისაც სურს, რომ საგაზაფხულო ხვნა -თესვები განახორციელონ თესვებთან დაკავშირებით.**

- საგაზაფხულო კულტურის დასათესად მიწის ნაკვეთი მეურნეებს წესით უკვე გამზადებული უნდა ჰქონდეთ, თუ უკვე მოხნული და დადისკული აქვთ, ბევრად უკეთესად აისახება მათი მოსავლიანობისთვის. გააჩნია, წინა წელს რა კულტურა იყო ნაკვეთში დათესილი, თუ ბალახიანია ნაკვეთი, უკეთესი იქნება, წინასწარ ჰერბიციდი შეიტანონ, კვლავ დადისკონ და 15 აპრილიდან 5 მაისამდე აუცილებლად დათესონ საგაზაფხულო კულტურა. რაც ადრე დათესავენ, მით უკეთეს და ხარისხიან მოსავალს მიიღებენ, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი მაინც ამინდზე და გამართლებაზეა.

**-საერთოდ, ნიადაგში პესტიციდების შეტანას ბევრი აპროტესტებს, რას გვეტყვით ამაზე?**

- რა თქმა უნდა, არაა სასურველი, მაგრამ წლებია ჩვენი მიწები ისეა გამოფიტული, რომ უმისობაც უკვე არაფერ შედეგს იძლევა.

**- ფერმერთა უმრავლესობა აცხადებს, რომ შემოდგომის ქარებმა და უნალექობამ საშემოდგომო მარცვეული კულტურის ნარგავებს დიდი ზიანი მიაყენა, თუ არსებობს მონაცემები, რამდენი ჰექტარი ქარსაფარი გვქონდა და რა მდგომარეობაა ამ მხრივ ახლა?!**

- ზუსტ მონაცემებს არ ვფლობთ, რადგან სოფლის მეურნეობის განყოფილების არქივი ფიზიკურად განადგურებული დაგვხვდა, თუმცა, გადმოცემით ვიცით, რომ 180 ათას ჰექტარ სასოფლო სამეურნეო სავარგულს ფლობდა ჩვენი რაიონი, ამჟამად, მთელი შირაქი მოშიშვლებულია და ქარსაფარი ზოლი საერთოდ აღარ არსებობს, რაც სავალალოა და ნათესების არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, მით უმეტეს იმის ფონზე, რომ ქარების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა ჩვენს რაიონში,“- ამბობს ჩვენთან საუბარში ასმათ გიგაური.

მე დავიტოვ უფლებას და იმედს გამოვთქვამ, რომ წლევანდელი წელი ჩვენი ფერმერებისთვის გასულ წელზე ბევრად უკეთესი იქნება.

ლალი მეხრიშვილი

# ლენინგრადის დედოფლისწყაროელი დამცველი

მიმდინარე წელს შესრულდა 70 წელი კაცობრიობის ისტორიაში ამ ყველაზე დიდი და ბარბაროსული ბლოკადისა. ამ თარიღს ლენინგრადი ყოველ წელს აღნიშნავს, მაგრამ წელს განსაკუთრებით დიდი მასშტაბით აღინიშნა. მოხდა პისკარიოვის სასაფლაოს მემორიალის გვირგვინებით შემკობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული დელეგაციების მიერ. ლენინგრადის გმირულ დამცველებს პატივი მიაგო ჩინეთის, ინდოეთის, აშშ-ს, ევროპის, ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი



ქვეყნებისა და სხვა მრავალი ქვეყნის დელეგაციებმა. უწყვეტ ნაკადად დიოდა ხალხი და მიჰქონდათ გვირგვინები და მიხაკები, ზოგიერთ მათგანს – მხოლოდ ერთი მიხაკი, მაგრამ 20 გრადუსიან ყინვაში საათობით იდგნენ რიგში, რათა მიეღწიათ მემორიალამდე და თავი მოეხარათ მათი გმირობის წინაშე. ცრემლების გარეშე ძნელი იყო ყურება იმ ხანში შესული ადამიანებისა, რომლებსაც საფლავებთან მიხაკებთან ერთად მიჰქონდათ პური. ამ სასაფლაოზე ხომ დაკრძალულია 650000-ზე მეტი ადამიანი, რომელთაგანაც 50000 დაღუპულია ბრძოლებში, დანარჩენი 600000 სიცივითა და შიმშილით არის გარდაცვლილი. ეს სასაფლაო მსოფლიოში ყველაზე დიდი სასაფლაოა, მოწმე ფაშისტების უდიდესი არაადამიანობისა და ბარბაროსობისა.

აგვისტოში მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქის მისადგომებთან, 30 აგვისტოს გერმანიის ჯარებმა გადაჭრეს ყველა რკინიგზა, რომლითაც ქალაქი უკავშირდებოდა ქვეყანას, 8 სექტემბერს ხელში ჩაიგდეს შლისებურგი და ლენინგრადი ხმელეთიდან მოწყვიტეს დანარჩენ სამყაროს. ქალაქთან კავშირი შენარჩუნებული იყო მხოლოდ ლადოგის ტბიდან და ჰაერიდან. ასე დაიწყო უმძიმესი დღეები ქალაქის ცხოვრებაში, ასე დაიწყო ლენინგრადის ბლოკადა.

ლენინგრადის დაცვის ხაზის გარღვევის წარუმატებელი ცდების შემდეგ გერმანელებმა გადაწყვიტეს ქალაქის მოსახლეობა დაეხოცათ შიმშილით და სიცივით, თვითონ ქალაქი კი მიწასთან გაესწორებინათ. ამ მიზნის განსახორციელებლად მოწინააღმდეგე ახდენდა არტილერიის შეტევებს და ჰაერიდან დაბომბვას. 8 სექტემბერს, ბლოკადის დაწყების დღეს, მოხდა ქალაქის მასირებული დაბომბვა, დაახლოებით 200 ადგილას გაჩნდა ხანძარი, ერთ-ერთმა გაანადგურა უდიდესი სასურსათო საწყობები. სექტემბერ-ოქტომბერში მტერი დღეში რამდენიმე თავდასხმას ახორციელებდა ქალაქზე, ამის მიზანი არა მარტო მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების განადგურება, არამედ მოსახლეობაში პანიკის დათესვაც იყო. ამიტომაც არტილერიის და ავიაციის განსაკუთრებით დიდი შეტევები ხორციელდებოდა სამუშაო დღის დასაწყისსა და დასასრულს.

ლენინგრადის ხელში ჩაგდება იყო გერმანიის მიერ შემუშავებული "ბარბაროსას" გეგმის ნაწილი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირის განადგურება უნდა მომხდარიყო 3-4 თვეში ელვისებური ომის, ანუ "ბლიცკრიგის" გეგმის მიხედვით. გეგმა "ოსტ"-ი (აღმოსავლეთი)ითვალისწინებდა რამდენიმე წელში საბჭოთა კავშირის მოსახლეობის დიდი ნაწილის განადგურებას, და რომ არც ერთ ხალხს, რომელიც შედიოდა საბჭოთა კავშირში, არ ექნებოდა უფლება არათუ სახელმწიფოებრიობის, არამედ ავტონომიისაც კი.

ამიტომ ამბობს ყველა ლენინგრადელი, რომ "ლენინგრადელზე მეტად არავის სძულს ფაშიზმი".

**ლენინგრადის უამრავ დამცველთა შორის იყო ჩვენი თანამემამულე, წითელწყაროს №1 საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი მიხეილ მერაბოვი-მერაბიშვილი, (მისმა საგვარეულომ აღიდგინა გვარი, რომელიც მეფის რუსეთთან შეერთების შემდეგ, როგორც სხვა ბევრი გვარი – მაგ. ბარნოვი-ბარნაველი, ბარათოვი-ბარათაშვილი დამახინჯდა, მაგრამ მიშა მასწავლებელს გვარი აღარ შეუცვლია,**



**რადგანაც დიპლომის, პასპორტისა და სხვა დოკუმენტების შეცვლა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული, თანაც ყველა ამ გვარით იცნობდა და თვითონაც შეჩვეული იყო). მიშა მასწავლებელმა გაუძლო ბლოკადის მძიმე დღეებს. მისი და ათასეული მისთანების გმირული ბრძოლით იჭედებოდა გამარჯვება და ახლოვდებოდა ომის დამთავრების ნანატრი დღე.**

**მისი ფრონტული ისტორია კი ასეთია:**

**1940 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, მალე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ხალხებისთვის წარმოადგენდა სამამულო ომს და ისიც სხვა ახალწვეულებთან ერთად ჩაება ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიხეილი ჯერ ტანკისტი იყო, შემდეგ გაიარა სათანადო მომზადება და გახდა ბომბდამშენის მსროლელი. ლენინგრადის მთელი ბლოკადის მანძილზე იბრძოდა ქალაქის დამცველთა რიგებში, მის ანგარიშზე 175 საბრძოლო გაფრენა იყო. ყოველთვის უმძიმდა ბლოკადის საშინელი დღეების გახსენება: როგორ იხოცებოდა მის გვერდით ხალხი შიმშილით, სიცივით, ბომბებისა და არტილერიის ჭურვების ნამსხვრევებით და გაათმაგებული სიძულვილით ებრძოდა მტერს.**

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა სარდლობის ბრძანებით მისი ნაწილი, სხვა საბრძოლო შენაერთებთან ერთად, რომელთა სარდალი მერეცკოვი იყო, გაიგზავნა აღმოსავლეთის ფრონტზე იაპონიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიხეილმა აქაც პირნათლად მოიხადა მხედრული ვალი და სამშობლოში მრავალი ორდენითა და მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

მათი ცხოვრების ამ პერიოდს მისი მეუღლე , ქალბატონი თამარ ყოჩიაშვილი, ასე იხსენებს:

– ჩვენ ერთმანეთი სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებელში გავიცანით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ორივე გაგვანაწილეს წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის საშუალო სკოლაში. აქ მიშა მალევე გამომიტყდა სიყვარულში, დაქორწინებაზე ვოცნებობდით, მაგრამ ის ჯერ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში... შემდეგ ომი... და დაიწყო დაუსრულებელი ლოდინის მძიმე დღეები, თვეები, წლები. გულის ფანცქალით ველოდი სამკუთხა ბარათებს, რომლებსაც ჩემთვის მისი სუნთქვა და გულის სითბო მოჰქონდა, მწერდა, დამელოდეო და მეც სხვას ველარავის ვხედავდი, მხოლოდ მის დაბრუნებაზე ვოცნებობდი. მისი ძმა სტალინგრადის დაცვისას დაიღუპა, მიშა ცოცხალი დამიბრუნდა.

ამ დროს მე წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლაში ვმუშაობდი დაწყებითი კლასების მასწავლებლად, ფრონტიდან ჩამოსვლის შემდეგ მიშაც იქ მოვიდა სამუშაოდ. განახლდა ჩვენი სიყვარული, რომელიც სულ მალე ქორწინებით დაგვირგვინდა.

მალე მიშა მასწავლებელს და ქალბატონ თამარს პირველი შვილი შეეძინათ – გურამი.შემდეგ – ქალიშვილი ნანა. საუკეთესო მასწავლებლობის გარდა, ისინი საუკეთესო მშობლებიც იყვნენ. ორივე შვილი კარგ მოქალაქეებად აღზარდეს. გურამმა ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და ერთი გამოცდით ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. იმავე წელს ჩაირიცხა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე მეორე შვილი – ნანა მერაბიშვილიც, რომელმაც, ასევე, ფრიადებზე დაამთავრა საშუალო სკოლა. ეს ოჯახისთვის უდიდესი სიხარული იყო, ამ სიხარულის აღსანიშნავ ოჯახურ წვეულებაზე მეც გახლდით და მახსოვს მიშა მასწავლებლის გაბრწყინებული თვალები. მისი განცდები გასაგები იყო, რადგანაც ორივე ეს ფაკულტეტი ძალზე პრესტიჟული იყო, ყოველთვის დიდი კონკურსი იყო და ჩარიცხვაც – ძნელი.

ჩარიცხულთა სიების სანახავად რომ წასულა მიშა მასწავლებელი, ჯერ "გეპეიში" გურამი უნახავს სიაში, გახარებულს უნივერსიტეტისთვის მიუშურებია. სიებთან ბევრი ხალხი ყოფილა და წინ მდგომებისთვის უთხოვია, მისი შვილის გვარისა და სახელის ამოკითხვა, რომ უთქვამთ, სიაშიაო, არ დაუჯერებია, სანამ საკუთარი თვალით არ უნახავს. შემდეგ კი ვარაზისხევი სულ ღიღინ-ღიღინით ჩამოუვლია, თან ფიქრობდა-თურმე, – გიჟი არავის ვეგონოო.

გურამი სოხუმის არქიტექტორი გახდა, შემდეგ – ქალაქის მთავარი არქიტექტორი, შემდეგ დაეცა სოხუმი ... გურამი დიდი ტკივილია სოხუმისა, მისი მეგობრებისა და ახლობლებისა. მე სულ მაქვს შეგრძნება, – რომ არ დაკარგულიყო აფხაზეთი, რასაც ის ვერ ურიგდებოდა, არ გამხდარიყო გურამიც დევნილი საკუთარ ქვეყანაში, დღეს – ცოცხალი იქნებოდა.

ნანამ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და მშობლიურ სკოლაში დაწყებითი კლასების სასწავლო ნაწილის გამგედ დაიწყო მუშაობა. ასწავლიდა, ამავე დროს, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. იყო სკოლის დირექტორიც. ჰყავს ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

*– მამა, რომ იტყვიან, პედაგოგად იყო დაბადებული, – იგონებს ნანა, ჟყველა მშობელს სურდა, მისი შვილი თამარ ყოჩიაშვილის კლასში ჩარიცხულიყო. მამაც დაწყებით კლასებში პუშკინისა და ლერმონტოვის ენას ასწავლიდა ბავშვებს, პარალელურად ხატვასაც ასწავლიდა. მე, პირადად, განსაკუთრებული სიამაყე დამეუფლა, როდესაც მისი გაკვეთილი, ამჯერად როგორც მასწავლებელმა, პირველად მოვისმინე. ასო-ბგერას ხსნიდა... მთელი თავისი ნიჭი და უნარი გამოავლინა: ასო-ბგერა შემოხაზა და მასთან ერთად ელვის სისწრაფით ისულამაზესი ფიგურები გამოხატა დაფაზე, რომლებთანაც ეს ასო-ბგერა იყო დაკავშირებული. ახლა უამრავი სახის თვალსაჩინოება აქვთ მასწავლებლებს, მაშინ კი ამ თვალსაჩინოებას მამა თავისი ხელით ქმნიდა.*

*სადღესასწაულო დემონსტრაციებისთვის, პირველი ის შეუდგებოდა სამზადისს. წერდა ლოზუნგებს, ხატავდა დემონსტრაციაზე გასატან პლაკატებს. ერთ წელს დიდი გემი, "ავრორა" შექმნა, რამაც მთელი რაიონი აალაპარაკა. თავისი გულღია ხასიათით, იუმორით დიდსა თუ პატარას – ყველას უყვარდა. ახალგაზრდა მასწავლებლები დასვენებაზე მისკენ გარბოდნენ – იცოდნენ ახალი ანეგდოტი ელოდათ და მასთან ერთად ხალისობდნენ.*

თორმეტი წლის განმავლობაში იყო მიშა მასწავლებელი დირექტორი ბავშვთა პიონერული ბანაკისა, რომელიც "ლეტნიკში" მუშაობდა. მესამე კლასში ვიყავი,რომ ჩემი ესმა ხელმძღვანელის (ესმა დათუკიშვილის) დიდი თხოვნის შემდეგ, დედამ გამიშვა ამ ბანაკში დასასვენებლად. მართალია, დიდხანს ვერ გავჩერდი, მაგრამ კარგად მახსოვს ტყეში ჩაფლული ბანაკი, მიშა მასწავლებელი, ერვანდა მასწავლებელი, ფიზკულტურის მასწავლებელი იყო სიმონ ლოლაშვილი, პიონერხელმძღვანელები: ესმა დათუკიშვილი, ნათელა ჯალიაშვილი, ინგა ჯალიაშვილი (მაპატიონ მათ, ვისაც ვერ ვიხსენებ). მთელი კოლექტივი ბავშვებს დიდი ყურადღებით გვექცეოდა, მაგრამ ამ ყველაფრის ხელმძღვანელი და წამყვანი მიშა მასწავლებელი იყო.

აქ ვაქვეყნებთ წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის პედკოლექტივის სურათს, რომელიც 1955 წელს არის გადაღებული. მიშა მასწავლებელი პირველ რიგში მარჯვნიდან პირველია. ამ დროს სკოლა სამხედრო ნაწილის შენობაში მუშაობდა, ჯარის წყლის მახლობლად. ამ შემადგენლობით უძლიერესი პოლექტივი ჰყავდა სკოლას. დასანანია, რომ ბევრი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის. თამარ ყოჩიაშვილი დღეს 93 წლისაა, ჩვენს გვერდით ცხოვრობენ მერი თანდაშვილი, ზინა თარაშვილი, მანო ისაიაშვილი, ესმა დათუკიშვილი, ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს ყველას (მომიტევონ მათ, რომლებიც აქ ვერ ვახსენე, რადგანაც მათ შესახებ არაფერი ვიცი).

ისინი საზოგადოებისთვის მისაბაძი და საამაყონი არიან. ადამიანის დანიშნულებაც ხომ ეს არის, ისე იცხოვროს, რომ გარდაცვალების შემდეგაც სითბოთი და სიყვარულით მოიგონონ, ჩვენი ვალი კი მათი გახსენებაა, მათი სიცოცხლე დღეს ჩვენში და ჩვენს მოგონებებშია, როგორც დიდი შოთა იტყოდა: "არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა."

ეთერ ფიცხელაური
**ასოციაცია**
**„წითელწყაროელის"**
**თავმჯდომარე**



# მირქმა (მიგებება) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

მირქმა უფლისა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია, მაგრამ VI საუკუნემდე იგი გამორჩეული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 528 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს, ანტიოქიას თავს საშინელი მიწისძვრა დაატყდა, რომელმაც მრავალი ადამიანი იმსხვერპლა; ერთ უბედობას სხვაც დაერთო — შავი ჭირის ეპიდემია დატრიალდა: ყოველდღე რამდენიმე ათასი კაცი იხოცებოდა; ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ზეგარდმო ეუწყა, რომ მირქმის დღესასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ; და როცა ამ დღეს ღამისთევის ლოცვები და ლიტანიობა აღასრულეს — ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად, 544 წელს, ეკლესიამ განაჩინა, რათა — მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი უფრო საზეიმოდ აღენიშნათ.

მირქმა (მიგებება) — შობიდან მეორმოცე დღეს ხდებოდა ტაძრად ყრმის მიყვანა და მის სახელზე მსხვერპლის შეწირვა. მდიდრები წირავდნენ თავისი ქონებიდან უმეტესს, შეიძლებოდა ეს ყოფილიყო ცხვარი, ხოლო ღარიბები წირავდნენ საშუალოზე უფრო ნაკლებ მსხვერპლს, ეს იყო ორი მართვე.

როგორც ცნობილია მაცხოვრისათვის იოსებმა შესწირა ორი ფრინველი, როგორც არა მდიდარმა ოჯახის უფროსმა. მირქმის დღეს წინასწარმეტყველ სვიმეონ მირქმელს ჰქონდა ჩვენება, რომ არ მოკვდებოდა მანამდე, ვიდრე არ იხილავდა მაცხოვარს, ქვეყნად მოსულს და შემდგომ კი აღესრულებოდა და მართლაც, ამ დღეს მან იხილა რა მაცხოვარი, მიირქვა მან მკლავთა თვისთა , აიყვანა ხელში ანუ ძველი ქართულით გამოითქმის რომ მიირქვა გულსა შინა თვისსა, ამიტომ დაერქვა მირქმა.

გადმოცემის თანახმად, რაც სახარებაში არ წერია , სვიმეონ მიმრქმელი ყოფილა ერთ-ერთთაგანი იმ სამოცდაათორმეტი ბიბლიის მთარგმნელთა შორის, ვინც ძველი აღთქმის წიგნები თარგმნა ებრაულიდან ბერძნულ ენაზე.

პტოლემეოს მეფემ , რომელმაც გაამდიდრა თავის ბიბლიოთეკა და სურდა მას, რომ იქ ყოფილიყო ძველი აღთქმის წიგნები ბერძნულ ენაზე და კაცობრიობას საშუალება ჰქონოდა გაცნობოდა ამ წიგნებს, მოიწვია 72 მთარგმნელი ისრაელიდან და ამ სამოცდაათაგანი გახლდათ ღირსი სიმეონ მიმრქმელი, რომ ეთარგმნა ესაიას წიგნები ძველი აღთქმიდან. სადაც მას წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წინასწარმეტყველება. “ეჰა ქალწული მიდგეს და შვას ძეი და უწოდიან სახელად მას ემანუელ” რომელიც ნიშნავს თარგმანებით — ჩვენთან არს ღმერთი. ანუ დადგებოდა ჟამი, რომ ქალწულისაგან იშვება ძე და სახელად მას დაარქმევენ ჩვენთან მოსულ ღმერთს. ეს რომ წაიკითხა სვიმეონ მიმრქმელმა, იფიქრა, რომ ეს არის შეცდომა და თავად აღმოჩნდა შეცდომის მსხვერპლი, რამეთუ ბიბლიაში შეცდომა არ შეიძლება იყოს, იმიტომ რომ სული წმიდა და ანგელოზები აკონტროლებდენ ამა თუ იმ ცთომილებას. მან ჩათვალა რომ ქალწულისაგან შეუძლებელი იქნებოდა ვაჟის გაჩენა და დაწერა, რომ გათხოვილი ქალისგან იშვებოდა ვაჟი, რომ შობდა ვაჟს არა ქალწული, არამედ გათხოვილი ქალი, მაგრამ მას გამოეცხადა მთავარანგელოზი და უთხრა, არ მოკვდები მანამ, ვიდრე თავად არ იხილავ ქალწულისაგან შობილ მესიას.



სვიმეონ მირქმელმა იხილა ჩვენებით რომ მოდის ის ყრმა ქალწულისაგან შობილი ,ვისგანაც მან შენდობა უნდა ითხოვოს. -საოცარია სიტყვები მართლაც სვიმეონ მიმრქმელისა “აწ განუტევე მონაი შენი მეუფეო მშვიდობით რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი...” ანუ მან აღიარა იესო მაცხოვრად, ქალწულისაგან შობილი მესია.

ძველი აღთქმის ეს ტრადიცია ახალი აღთქმის ეკლესიაშიც აღესრულება. ამ დღეს ყოველი ახალშობილი ინათლება და დედას ეკითხება განწმენდის ლოცვა.

თუმცა განწმენდის ლოცვა ღვთისმშობელს არ ჭირდებოდა, რადგან იგი იყო ქალწული მაცხოვრის მუცლადღებამდეც და მშობიარობის შემდგომაც ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც ღვთისმშობელი მარიამი ემორჩილებოდა რა კანონს ძველი აღთქმისას და ისიც მეორმოცე დღეს მობრძანდა ტაძრად.

ეს დღესასწაული გვამცნობს ორ დოგმატურ სწავლებას, რომ ღვთისმშობელი არის მარადქალწული და მისგან შობილი ყრმა არის მხსნელი სოფლისა, ჩვენთან მოსული ღმერთი!

**ხსოვნა**

## ნოდარ გონაშვილი



ჩემო ოცდაათი წლის უნახავო, შვილო,ნოდარ! ნუთუ შენ არ გენატრება შენი უბედური დედის ნახვა. 20 თებერვალს შენი დაბადების დღეა. 54 წელი შეგისრულდებოდა. სიზმრად მაინც დამესიზმრე ჩემო უდანაშაულოდ ნაწამებო შვილო,სამუდამოდ სიკვდილმისჯილო, რომელსაც დედისგან არ გეღირსა შუბლზე ხელის გადასმა, ნუგეში და თვალების დახუჭვა. წახვედი ჩვენგან 24 წლის. შენი უბედური მამა- გიორგი გონაშვილი შენს დარდს გადაჰყვა. გულმა ვერ გაუძლო შენგან მიყენებულ ტკივილს.

ნოდარ, ნუთუ არ გენატრება შენი ოჯახი, არ გაინტერესებს ჩვენი ამბავი.წამიყვანე, შვილო,რომ გიამბო ყველაფერი შენს უცნობ შვილზე.შენი გიორგი უკვე 30 წლისაა, დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.დაბადების დღეს გილოცავთ შენზე თავდადებული მეუღლე-მარიკა, შვილი-გიორგი და უბედური დედაშენი-ლილი,შენი ძმა-ნუგზარი,რძალი-ნინო,ძმისშვილები-გიორგი და ლაშა. ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სასუფეველი.მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი რადიაანის მიწა.უზომოდ გვიყვარხარ და გვენატრები. იმედი მაქვს, მალე წამიყვან შენს 30 წლის უნახავ დედას შენთან.

დედა-ლილი გონაშვილი

**მონატრება**

## დავით ქავთარაძე



უკვე 40 დღე გავიდა, 40 ტკივილიანი დღე, რომელმაც გული ნაფლერთებად და ნაკუწებად მიქცია, ჩემო საყვარელი, ძმაო, მოგიკვდეს და.რა ვთქვა? რა გავაკეთო? რით ვინუგეშო თავი. გამიგია დრო მკურნალიაო, მაგრამ დრო ვერაფერს შველის. რაც დრო გადის უფრო მეტად მენატრები და გული ბოღმით მევსება. რა ვქნა, რით ვანუგესო შენი მეუღლე, შენი ოთხი შვილი, შენი ძმები, ძმისშვილები, დისშბილები და შენი ახლობლები.

40 დღე 40 საუკუნოდ მექცა, ძმაო, ყველას ძალიან გვენატრები.უფალს ვევედრები, მსუბუქი იყოს შენს მკერდზე დაყრილი მიწა, დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი და მოგიპოვოს სულიერი სიმშვიდე.

**შენგან გულმოკლული და-ძმები:** მაყვალა, ბესო, შოთა, დისშვილები და ძმისშვილები.

ვასილ აბულაშვილის და თამარ თამაზაშვილის ოჯახი სამძიმარს უცხადებს სიძეს სოსო პოპიაშვილს, გივი და ქევსირი პოპიაშვილების ოჯახს ბებიისა და დედის

თინათინ ნატროშვილი-პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო..

მერაბ და გოგიტა რობიტაშვილები, გოჩა ზურაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ლეილა რობიტაშვილს შვილის

კაკოს (აკაკი)

გარდაცვალების გამო.

ელგუჯა ცოგოშვილი, მევლუდ გიგოლაშვილი, ნუგზარ ლაპიაშვილი, შოთა ნათელაშვილი ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ ომარი, ემზარი და ნონას დედის

ეთერ ქისტაურის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები:ნუკრი და ირინა იაკობიშვილები, შოთა და ია წითელაურები, ნუგზარ და ელისო გოგბაიძეები, საშკა და თინიკო ველთაურები, ზურო და ნელი აფციაურები, ზურო და ქეთინო ქოქუაშვილები, გია და ვალია ბენაშვილები, ვალერი, სანდრო და ლენა ზურიკაშვილები იუწყებიან

ბაკური ანზორის ძე ბაცაცაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ესმა, ლია და ნინო ბულაშვილების ოჯახი სამძიმარს უცხადებს მეუღლე - იზა ლომიძეს, დას - მაყვალას, სიძე-ამირანს, შვილებს-ზურიკოს და მაიას ოჯახებს

ვალიკო ლომიძის

გარდაცვალების გამო.

მშობლები: ანზორ და ნელი ბაცაცაშვილები;ძმა მიშიკო; მამიდა მაყვალა, მამიდის ქმარი დარდიკო ნასრაშვილი; მამიდაშვილები: ნელი, ვასიკო, თამაზი, ილია, ვაჟა. ბიძები: ზაურ და ილვერ ნასრაშვილები, ბიძაშვილები: ლაური, მალხაზი,დათო, ირმა, ზაზა, თამრიკო ოჯახებით იუწყებიან

ბაკური ბაცაცაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 13 თებერვალს, დედოფლისწყაროში.

# როცა საქმეში სიყვარულს აქსოვ

რამდენიმე დღის წინ კბილთან დაკავშირებით პრობლემა შემექმნა. სტომატოლოგთან გადავწყვიტე მისვლა და რედაქციის შენობის პირველ სართულზე არსებული სტომატოლოგიური კაბინეტის ინდივიდუალურ მეწარმე დანტისტებს მივმართე. მისაღებში პაციენტები მრავლად ისხდნენ და იძულებული გავხდი, რიგი დამეკავებინა. გამაკვირვა ექიმების ნახვის მსურველთა რაოდენობამ. „მედიცინის მამად“ წოდებული ჰიპოკრატე ავადმყოფთა გამოსაჯამთებლად მკურნალებს ურჩევდა გამოეყენებინათ სამი რამ: „ენა, დანა და ბალახი“. ქიმიურმა მედიკამენტებმა ბალახი შეცვალეს, თუმცა ხალხურ მედიცინასა და ფიტოთერაპიას მნიშვნელობა არ დაუკარგავს. თუ გსურს პაციენტი მოგენდოს და შენი პროფესიონალიზმი იწამოს, მისთვის გულის სითბო არ უნდა დაიშურო, რადგან ავადმყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმის დამაიმედებელ სიტყვას.

კბინეტში შესვლისას ჩემი ყურადღება მიიქცია თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობამ და პაციენტთა მომსახურების მაღალმა დონემ. გულისხმიერებას იჩენენ სტომატოლოგები: ეკა გიორგანაშვილი და ბაბუცი ჯორკოშვილი, კბილის ტექნიკოსი ვალერი იაკობიშვილი.

პაციენტს სურვილისამებრ შეუძლია მკურნალი ექიმის, არჩევა. ამჯერად ექიმ ეკა გიორგანაშვილზე შევჩერდი.

მოქალაქის აღზრდა-განათლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს, როგორც იტყვიან, „ხემა დაისახა ხილიო...“

ეკა გიორგანაშვილი დაიბადა და აღიზარდა თელავის რაიონის სოფელ ბუშეტში. დედამისი პედაგოგი გახლდათ, მამა - სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, რომელიც 29 წელი კოლმეურნეობას თავკაცობდა, შემდეგ კი თელავის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოში მუშაობდა. იგი ამჟამად 93 წლისაა და კვალავაც მხნედ გამოიყურება.

საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ეკამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა და სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. აღნიშნული ინსტიტუტი 1973 წელს დაამთავრა და განაწილებით ჩვენი რაიონის სოფელ ოზაანის სასოფლო ამბულატორიის სტომატოლოგად დაინიშნა.



გულისხმიერება, პაციენტთა მაღალპროფესიულ დონეზე მომსახურება იყო მისთვის ყოველდღიური საზრუნავი. ეკა გიორგანაშვილის კარგი მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა რაიონის სამედიცინო საზოგადოებას. მან ბედი დაუკავშირა რაიონის მთავარ სტომატოლოგს, შესანიშნავ პიროვნებას ილია ქუციკიშვილს, რომელთანაც ორი გოგონა შეძინა. ამავე პერიოდში მუშაობა დაიწყო სოფელ ჯაფარიძის სასოფლო ამბულატორიაში სტომატოლოგად.

ხარობდა ეკა ქმარ-შვილში, მაგრამ, როგორც სულმნათი აკაკი ამბობდა, ზოგჯერ განგება „თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა“. მას სრულიად ახალგაზრდა მეუღლე გვერდიდან გამოეცალა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბრძანებს „აღმართს დაღმართი მოჰყვება და დაღმართს-აღმართი, გული არასოდეს არ უნდა გავიტეხოთ, არ შევდრკეთ არანაირი განსაცდელის წინაშე და მუდამ გვახსოვდეს, რომ ღმერთი თავის შვილებს არ მიატოვებს, -მადლობა მას ყველაფრისათვის“.

მიუხედავად თავსდატეხილი დიდი უბედურებისა, ეკა გიორგანაშვილი არ შემდრკალა, სულით არ დაცემულა. ორი ათეული წლის განმავლობაში რაიონის მთავარ სტომატოლოგად იმუშავა, შვილებს უმამობა არ აგრძნობინა და საუკეთესოდ აღზარდა. უფროსმა ქალიშვილმა - ნინომ სტომატოლოგიური და შემდეგ ფარმაცევტული ფაკულტეტები დაამთავრა, უმცროსი - ნატა სპარსული ენის სპეციალისტია. ნინო ამჯერად, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მუშაობს.

წლევანდელი ახალი წელი დიდად სასიხარულო აღმოჩნდა ეკასათვის, მისი უმცროსი ქალიშვილი ნატა გათხოვდა.

მრავალრიცხოვანი მადლიერი პაციენტების სახელით გულწრფელად ვულოცავ ქალბატონ ეკა გიორგანაშვილს ქალიშვილის გაბედნიერებას და ვუსურვებ მრავალშვილიშვილიანობასა და ბედნიერ ბებიობას.

ნოდარ დუმბაძე რომანში „მარადისობის კანონი“ წერდა: „ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“.

და მაშინ, როცა ქალბატონმა ეკამ იგრძნო მოკეთეების და საზოგადოების მხარში ამოდგომა, მიხვდა, რომ მარადისობის კანონი მოქმედებდა.

და მაშინ, როცა ქალბატონმა ეკამ იგრძნო მოკეთეების და საზოგადოების მხარში ამოდგომა, მიხვდა, რომ მარადისობის კანონი მოქმედებდა.

ეკა გიორგანაშვილმა ხალხის პატივისცემა და სიყვარული პატიოსანი შრომითა და პროფესიონალიზმით დაიმსახურა, ამიტომ იგი რაიონის საპატიო მოქალაქედ იყო არჩეული. მისთვის უდიდესი ჯილდო ხალხის სიყვარულია.

ეგული ყოჩიაშვილი.

# ულოცავენ!

## თეონა მილაშვილს!

## ილია ხიხაძეს!

გილოცავთ ტყუპი ვაჟის - ზაზას და დავითის დაბადებას. გისურვებთ, გაზრდილიყვნენ სასახელო ვაჟკაცები, ეცხოვროთ ბედნიერ და გაბრწყინებულ საქართველოში. ღმერთის მფარველობა არ მოჰკლებოდეთ.

ბესარიონ ჩოფიკაშვილი და ნინო ფიროსმანიშვილი

## მერი (ციცო) ფიროსმანაშვილს!

ჩვენო საყვარელო ციცო დეიდა, ტკბილო, ჩვენო მომფერებელო, პატარების საფიცარო დიდო ბებიკო, გილოცავთ 20 თებერვალს, გვიხარია, რომ გვყავს ოთხმოცდახუთი წლის იუბილარი.

შეგხარით მთელი გულით, დიდ ღმერთს ვთხოვთ შენს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ჩვენს საიმედოდ, ჩვენს მომფერებლად. შენი ასაკის ადამიანი ოჯახის სიმდიდრე და ბურჯია. იცოცხლე ჩვენო დეიდა.

ლეილა, მზია, ჰამლეტი გულაშვილები – შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით.

## ნუგზარ გონაშვილს!

შვილო ნუგზარ, 23 თებერვალს შენი დაბადების დღეა. გილოცავ, დაესწარი მრავალს შენს საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. უფლის წყალობა არ მოგაკლებოდეს. დაბადების დღეს გილოცავს **ასევე შენი** ძვირფასი მეუღლე ნინო, შვილები-გიორგი და ლაშა, რძალი მარიკა, ძმისშვილი გიორგი. დედა ლილი გონაშვილი.

# ფრაზები სიყვარულზე

- „სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა ბუნების უმაღლესი პოეზია“ — ნოვალისი
- „სიყვარული იმას ნიშნავს, რომ დღისით და ღამით შენს წინაშე შენი საყვარელი ქალის სახე გედგეს, გესმოდეს მისი მომაჯადოებელი ხმა, ცხოვრობდე მისი ფიქრით, მისი მგრძნობელობით“ — ანაკრეოტი
- „სიყვარული წამებაა, უსიყვარულობა — სიკვდილი“ — ებნერშენბახი
- „სიყვარული ცხოვრების გვირგვინია, იგი მოიცავს ყველაფერს“ — ბეთჰოვენი
- „სიყვარულია, როცა ორი ერთარსებად შეერთდება, მამაკაცი და ქალი ანგელოზად იქცევა. სიყვარული ზეცაა“ — ჰიუგო
- „სიყვარული მომაჯადოვებელი ყვავილია, მაგრამ საჭიროა დიდი გამბედაობა, რომ მიხვიდე და მოწყვიტო იგი უფსკრულის კიდეზე“ — სტენდალი
- „სიყვარული უძველესი, უახლესი და ერთადერთი მსოფლიო მოვლენაა“ — ფრ.რიუკერტი
- „სიყვარული ეს არის ერთი ადამიანის დაუძლეველი მოთხოვნილება იპოვოს მეორე, რომლისკენაც მიისწრაფვის“ — ტომას ჰობსი
- „სიყვარული ტკივილია, ვისაც არ სტკივა, მას არ უყვარს“ — ვ.როზანოვი
- „სიყვარული — ესაა მისწრაფება სრულყოფილებისაკენ, სიმშვიდისაკენ“ — ნეტარი ავგუსტინე

## გიორგი ნოდარის ძე გონაშვილს!

ჩვენო საყვარელო გიორგი, გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს სულ ბედნიერი და გახარებული შენს ახლობლებთან და სამეგობროსთან ერთად. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, წარმატებებს ცხოვრებაში. ღმერთი იყოს შენი მფარველი, ჩვენო საამაყო ბიჭო!

დედა მარიკა, ბებია-ლილი, ბიძა ნუგზარი,
ბიცოლა ნინო, ბიძაშვილები - გიორგი და ლაშა.


## იყიდება

იყიდება ქ.დედოფლისწყაროში ორსართულიანი სახლი დიდი ეზოთი, გარაჟით და ყველა სხვა საჭირო სათავსოთი. აქვს მუდმივი წყალი, დენი და ბუნებრივი აირი. შესაძლებელია, გაიყიდოს ავეჯთან ერთადაც. ფასი შეთანხმებით.

☎ 577-66-45-38.


# ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 17.02 | | სამშაბათი 18.02 | | ოთხშაბათი 19.02 | | ხუთშაბათი 20.02 | | პარასკევი 21.02 | | შაბათი 22.02 | | კვირა 23.02 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 5° | 2° | 6° | 4° | 6° | 4° | 6° | 5° | 8° | 4° | 0° | 0° | 2° | 0° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.


C M Y K